

K 22632
3

ପ୍ରକାଶକ ନାମ ଓ ଠିକ୍ ଦିନାଂକ ଓ ପ୍ରକାଶକ ନାମ

ଶ. ପାରାମା

ସାହିତ୍ୟାଳ୍ୟ

ଓଡ଼ିଆଲୋକପାତ୍ରାଳ୍ୟ

ସାହିତ୍ୟାଳ୍ୟ 1933 ଅଧିକାରୀ ପାତ୍ରାଳ୍ୟ



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი. ფილოსოფიური სექცია

147

3. ପାଞ୍ଚ

სკონცხას ფილოსოფიისათვის

(6 5 6 5 3 0 3 0)

$$\begin{array}{r} 1.946 \\ \times 59625 \\ \hline 1946 \\ 98050 \\ 158625 \\ \hline 579625 \end{array}$$

卷之二

605 0063
605 159471051

1933. ପାଠ୍ୟକର୍ତ୍ତାଙ୍କର ମହିନେ



ଡିନ୍ଦୁଶେଖର ପାତ୍ରମାଳା

ეს ნარკევეი წარმოადგენს გამოსწორებულ სტენოგრამას მოხსენებისა, რომელიც წაკითხულ იქნა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილოსოფიური სეკციის საჯარო სხდომაზე ა/შ. ნოებმბრის დამლევს, სპინოზას დაბადებიდან 300 წლის შესრულების გამო.

ჭინასჭარ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნარკვევს სპილობის ფილო-სოფუის თუნდაც ძირითადი მომენტების ამოწურვის პრეტენზია არა აქვს. გარდა ამისა, როგორც ეს ხაზვასმულია თვით მოხსენების „შესავალში, სხვადასხვა მიზეზების გამო, რომელთა ჩამოთვლა აქ საჭირო არაა, მოხსენებას „იმპროვიზაციის“ ხასიათი ჰქონდა. სხვა, უფრო სასწრაფო სამუშაოს გამო, მე ვერ მოვიცალე ამ მოხსენების „შესავალში და დასამუშავებლად, რაზედაც შესაძლებლობის შემთხვევაში უარს არ ვიტყოდი, თუმცა ჩვეულებრივი ლიტერატურული ეთიკა ზუსტად განსაზღვრავს საჯარო მოხსენების დამატების და „შევსების ჩარჩოების.

ამიტომ მოხსენება ქვეყნდება არსებითად იმ სახით, როგორც
ის წაკითხული იყო აუდიტორიაში—არსებითად იმიტომ, რომ
აზრთა გადმოცემის ფორმა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გან-
სხვადებოდეს პირების დენისაგან, რამდენად აუცილებელი იყო
აღდგენა იმ მომენტებისა, რომლებიც გამორჩენილი იყო სტენოგრა-
მაში (რომელიც, სამწუხაროდ ძალიან სუსტი აღმოჩნდა).

ეს ყოველივე მოხსენებას სიჩქარისა და საემარისად დაუ-
მუშავებლობის დამღას ასვამს (თუ არაფერს ვიტყვით მისი სრუ-
ლებით არასაემარის სისრულეზე), და თუ მიუხედავად ამისა, მე

მაინც გადავწყვიტე მისი გამოქვეყნება ეს მხოლოდ იმიტომ, რომ
მე-17 საუკუნის უდიდესი ფილოსოფოსის ხსოვნას საიუბილეო
თარიღთან დაკავშირებით (1932 წ. 24 ნოემბერს შესრულდა 300 წელისას),
სპინოზას დაბადებიდან), ასე თუ ისე უნდა ეპოვნა ჩვენს პრესაში
გამოძახალი. ამავე დროს თავის ეხლანდელ სახითაც მას შეუძლია
სპინოზას ფილოსოფიის ზოგიერთ ძირითად მომენტები გააცნოს
მსურველებს.

დეკემბერი 1932 წ.

ავტორი.

ტფილისი.

გენერაციული სპიციალური ფილოსოფია და მისი ისტორიული მნიშვნელობა.

ამხანაგებო, ჩემი დღევანდელი მოხსენების ამოცანაა: სპიციალური ფილოსოფიის მხოლოდ ძირითადი მომენტების გაშუქება. ვინაიდან ერთ მოხსენებაში ისეთი უდიდესი მოაზროვნის (არა მარტო მე-17 საუკუნეში, არამედ მთელი აზროვნების განვითარების ისტორიაში, როგორიც უკეთესობად არის სპიციალური) ფილოსოფიის მთლიანად ამოწურეა ყოვლად შეუძლებელია. ამისათვის საჭირო იყო პრობლემების განაწილება და მათი სპეციალური გაშუქება ცალკე მომხსენებლების მიერ. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ამდენად ასეთი განაწილება არ მოწყობ და ამ საღამოსსთვის წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ძირითადი მოხსენება, სახელდობრ ჩემი, — მიზანშეუწონელი იქნება ამ მოხსენებაში მხოლოდ ერთ სპეციალურ პრობლემაზე გაჩერება, ვინაიდან მთლიანი წარმოდგენის შესადგენად აუცილებელია ზოგადი მიმოხილვა, რომელიც თუმცა უკი ამოწურავს ყველა საკითხებს, მით უფრო ვერ მოგვცემს მათს სპეციალურ გაშუქებას, მაგრამ მაინც მოგვცემს იმ მთლიან სისტემას, რომელსაც იძლევა სპიციალური, ძირითად მომენტი.

ზედმეტივა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ეს ძნელი ამოცანაა და მით უფრო, რომ სპიციალური ფილოსოფიაზე არ არსებობს ერთ-სულოვანი შეხედულება, არა მარტო საერთოდ ფილოსოფიის ისტორიაში, არამედ მარქსისტ-ინტერპრეტატორებს შორისაც-კი. ეს გარემოება მაიძულებს დღევანდელ მოხსენებაში სრულებით გამოვტოვო სპიციალური ფილოსოფიის სხვადასხვაგვარ ინტერპრეტატორების საკითხი (შევერჩები მას მხოლოდ აქა-იქ, როცა ეს აუცილებელი იქნება) და შევეცდები გადმოგცეთ განსაკუთრებით მისი ფილოსოფიის თეორიული ნაწილი, რა თქმა უნდა აუცილებელი ისტორიული ქრიტიკით.

სპიციალური ფილოსოფიის ზოგადი დახასიათება დღევანდელ სხდომის თავმჯდომარემ წარმოადგინა კიდევაც. ამიტომ მე მხოლოდ გაქვრით შევეხები ამ საკითხს. უნდა ითქვას, რომ სპიციალური ფილოსოფიის სრულებით არ იყო ისეთი წყნარი და მშეიღებიანი, რომლითაც რასიათდება თვით სპიციალური პიროვნება. მართლაც, ერთის შეხედ-



ეით შეტად გაუგებარ კონტრასტად უნდა ჩაითვალოს ის გარემონტრანსფერის ბა, რომ ისეთ ომების და ბრძოლის ეპოქაში, როდესაც ჰოლანდიანთა თავდასაცავ და დამპყრობელ ომების საშუალებით აღწევს თავის-დამოუკიდებლობას და ჰეგემონიას გაჭრობაში, როდესაც გამწვავებით იბრძვიან რეაქციონური და რეპუბლიკანური პარტიები, როცა იღუპება ისეთი დემოკრატიული ბელადები, როგორიცაა იმპან დე-ვიტი და სხვები, —ერთი სიტყვით ქაპიტალიზმის მძლავრი განვითარების პერიოდში—ჩნდება ჰორიზონტზე უმცველად დიადი პიროვნება, რომელიც გაურბის საზოგადოებრივ ცხოვრების აქტიურასპარეზს, რომელიც სძლევს ყოველივე სასიცოცხლი მოთხოვნილებას და სავსებით გადადის აბსტრაქტულ მეცნიერების აბსტრაქტულ არსობის განსკვრეტის სფეროში. კიდევ მეტი, იგი კეშმარიტების უშუალო განსკვრეტაში ხედავს სიცოცხლის ერთად-ერთმიზანს და ადამიანის მაღალ დანიშნულებას.

მაგრამ მე ვფიქრობ, ეს კონტრასტი გასაგებია, თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში, რომ არსებობს საზოგადოებრივი აქტივობის ბევრნაირი ფორმა და მე მიმაჩნია, რომ სპინოზამ გამოიჩინა უდიდესი საზოგადოებრივი აქტივობა სწორეთ იმ სფეროში, სადაც ეს მაშინ არა ნაკლებ მნიშვნელობის მქონე იყო, ვიდრე მასიური მძრაობის ხელმძღვანელობა—სახელდობრ—ახალი ცოდნის, ახალი მეცნიერების ენერგიულად ჩამოყალიბებაში—იმ მეცნიერების და ფილოსოფიის, რომელიც სწორედ უპასუხებდა პროგრესიული კლასის მოთხოვნილებას.

სპინოზას ასკეტიზმი პირად ცხოვრებაში სრულებით არა ნიშნავს მის მიერ მეცნიერების „სარგებლობისა და უმეცნებითი სიყვარულის უარყოფასა. ამაზე ქვემოდ იქნებასაუბარი. ეს სრულებით არა ნიშნავს მეცნიერების „წმინდა მეცნიერებად“ ანდა წმინდა ჭრიერითი კმაყოფილებად აღიარებას. სპინოზას აზრიდაც არ მოსვლია მეცნიერების სარგებლიანობის უარყოფა, პირიქით, იგი აღიარებდა და ხახს უსვამდა კიდევაც მის სარგებლიანობას. და არა მხოლოდ აბსტრაქტულობას, არამედ წმინდა პრაქტიკულობას. ამაზე ის აშკარად ლაპარაკობს თავის შრომაში „ინტელექტის გაწმენდის ტრაქტატი“. იქ იგი ხახს უსვამს, რომ ბუნების ჭრიშის მეშმარიტი შესწავლა საჭიროა იმისათვის, რათა „მოწესრიგებულ იქნას საზოგადოებრივი დამოკიდებულება, რომელიც უზრუნველყოფს შესაძლებლად ბევრის-თვის შესაძლებლად ადგილ და საიმედო მიღწევას დასახული მიზნებისა.... რამდენად ტექნიკური ხელობის მეოხებით ბევრი ძნელი საგანი ადგილი ხდება და ჩვენ ამგვარად გვეძლევა შესაძლებლობა დრო მოვიგოთ და ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობები შეექმნათ, —ამიტომაც მექანიკაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას.

«*Зоумбюлло*» (Спиноза— „Трактат об очищении интеллекта“¹⁰ пер. Полковой. Моск. 1914 г.—стр. 68-69).

ამგვარად, ჩვენ ეხედავთ, რომ სპინოზა სწორედ მეცნიერებისა-
გან მოელის საზოგადოებრივ ცხოვრების მოწესრიგებასა და ცხოვ-
რებისათვის ხელსაყრელ პირობების შექმნას. რომდენადაც მეცნიერე-
ბა გარკვეულ პრაქტიკულ მიზნებს ემსახურება, მასში, მეცნიერებაში
ყოველივე ის, რაც ამ საბოლოო მიზნის მიღწევას ხელს არ შე-
უწყობს, უთუოდ უკუგდებული უნდა იქნას, როგორც უსარგებლო
(იქვე—გვ. 69). სპინოზას პირ სრულებით არ ესმოდა განყენებულად
ეს მიზნები, რომ მას თავის ღროისათვის ყველაზე უფრო ღრმად
ჰქონდა შეთვისებული ადამიანის ნამდვილი ბუნება და რეალური
სახელმწიფოს საფუძვლები, ამას მოწმობენ მისი შესანიშნავი აზრები
„ეთიკის“ III და IV ნაწილში, მაგრამ ამაზე ქვემოდ

ახლა გადავიდეთ სპეციალურად მოხსენების შინაარსზე.

თუ ჩევნ დასაწყისშივე ზოგადად შევაფასებოთ სპინოზას ფილოს-
სოფიას, უცკველად უნდა ითქვას, რომ იგი მეტაფიზიკური ფილოსო-
ფიაა, მაგრამ ამასთანავე მატერიალისტური ფილოსოფია — ერთი სიტ-
ყვით ის არის მეტაფიზიკური მატერიალიზმი. ის წარმოადგენს აბ-
სტრუქტულ მონისტურ სისტემას, რომელიც შეიცავს არსის ყოველ მხა-
რეს და ამდენად მოძლვობას არსზე (ნეტის), უფრო გასავებად — სუბ-
სტრუქტურაზე, — საიდანაც იწყება სპინოზას ძრითადი სისტემატიკური
შრომა. „ეთიკა“ — გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და სწორედ იმის-
გან არის დამკიდებული ყოველი მხარე მისი მოძლვობისა, როგორც
მისი შემეცნების თეორია, სხვ მისი მოძლვობა მორჩალის, სახელმ-
წიფოს და აგრძელების შეხედულებანი რელიგიის შესახებ.

ცნობილია, რომ სპინოზას ფილოსოფიაში ხედავნენ მთელ რიგ შინაგან წინააღმდეგობებს, როგორც საფუძვლიანად, ისე უსაფუძვლოდაც, მაგრამ ძალიან ნაკლებად ამჩნევდენ იმ წინააღმდეგობათა ნამდვილ, ჟეშმარიტ საფუძვლებს, ვინაიდან სპინოზას ფილოსოფიას უდგებიან გარკვეულ, წინასწარ აღებულ შეხედულებით. ყველა ეს წინააღმდეგობანი ადვილი გასაგები და ასახსნელია, თუ ჩვენ მივუდებით ამ ფილოსოფიას ისტორიული შეხედულებით, იმ ისტორიულ-სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ პირობების მიხედვით, რომელშიაც ფილოსოფიას უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა.

ქვემოდ შევეცდებით დაგეხსაბუთოდ, რომ ყველა წინააღმდეგობანი სპინოზას ფილოსოფიისა განსაზღვრულია არა მისი მსოფლმხედველობით, არამედ მისი მეოთხოველოგიით. ძალიან უმართებულო იქნებოდა სპინოზასთვის მიგვეწერა ჩვენ კომპრომისები, მერყეობა, კოჭმანი და არა თანმიმდევრობა დასკვნებში, ვინაიდან სწორედ იმ მიმართულებით სპინოზა წარმოადგენს ისტორიაში თითქმის უმაგა-

ლითო პიროვნებას. ხშირად მას ადარებენ სოქრატეს, რომელ-
მაც თავი შესწირა თავის რწმენას. და მართლაც, თუ სპინოზა¹ გრძელი
მოუკლავთ და არ უწამებიათ, მას ყოველ შემთხვევაში ყველაფერი
შეუწირავს თავის ფილოსოფიის დასაბუთებისათვის, როგორც თა-
ვისი საზოგადოებრივი კარიერა, ისე პირადი ცხოვრების კეთილ-
დღეობა და თუ გნებავთ, მოქალაქეობრივი თავისუფლებაც, ვინაიდან
მას აკრძალული ჰქონდა ცხოვრება ამსტერდამში, — იმ ქალაქში,
სადაც მე-17 საუკუნეში თავშესაფარი იყო ყველა, ე. წ. თავისუ-
ფალი მოაზროვნეთათვის. არსებითად სპინოზა სცხოვრობდა კანო-
ნის გარეშე, ვინაიდან ის მოცილებული იყო არა მარტი ებრაელთა
საზოგადოებას და სინაგოგას, არამედ ოფიციალურ მოქალაქობრივ
უფლებებსაც. სხვა რისი უნდა შეშინებოდა სპინოზას, რომ რაიმე
დაემალა, მიეჩმალა და სხვა? რა თქმა უნდა, ასეთი აზრი უსაფუძვ-
ლოა.

* *

დავიწყოთ ანალიზი ღმერთის ანუ სუბსტანციის ცნებიდან სპი-
ნოზას მოძღვრებაში. სწორედ ეს წარმოადგენს საფუძველს ე. წ.
თეოლოგიური დანართის. ღმერთი წარმოადგენს ერთადერთ დაუს-
რულებელ, განუყოფელ შეუქმნელ და შეუმუსვრელ სუბსტანციას.
იგი არის ყველაფერი, — რომლის გარეშე არ არის არაფერი, რო-
მელთანაც ის შეიძლება იყოს გარეგნულ დამოკიდებულებაში. ამი-
ტომ თუ დამტკიცებული იქნება, რომ ღმერთი ემთხვევა ბუნებას,
გადამწყვეტი ლახვარი ეცემა სქოლასტიკას და თეოლოგიას. აქედან
გამომდინარე სპინოზას მოძღვრება სუბსტანციის ღმერთის, შესახებ
წარმოადგენს სწორედ მთელი სისტემის სიმძიმის ცენტრს.

ყველა იმ განმარტებიდან, რომელსაც იძლევა სპინოზა ღმერ-
თზე — სჩანს, რომ ღმერთის ცნებას მის ფილოსოფიაში არაფერი
საერთო არა აქვს სქოლასტიკის და თეოლოგიის ღმერთის ცნებას-
თან. დუალიზმის დაძლევის სიმძიმის ცენტრი მდგომარეობს არა
იმდენად დეკარტეს სულიერ და მატერიალ სუბსტანციების დუალიზმის
დაძლევაში, რამდენად ღმერთსა და ბუნებას შორის არსებულ დუა-
ლიზმის დაძლევაში, ვინაიდან არსებითად პირველი უკანასკნელის
სპეციალური გამოხატულებაა. სწორედ ეს უკანასკნელი ფორმა — დუა-
ლიზმისა იყო მთელი საშუალო საუკუნოებისათვის დამახასიათებე-
ლი. მას ჰქონდა ადგილი დეკარტესთანაც, მიუხედავად იმისა,
რომ უკანასკნელმა ამ საკითხში გადადგა გადამწყვეტი ნაიჯი ღმერ-
თის ბუნებასთან დაახლოვების სახით. დეკარტეს მოძღვრებაში
მაინც დარჩი ხელუხლებლად ღმერთის ემინენტობა, ტრანსცენდენ-
ტობა ბუნების მიმართ, თუმცა იმ თავისეურებით, რომ მან უკუ-

აგდო თითქმის ყველა ძირითადი სქოლასტიური და თეოლოგიური განმარტება ღმერთისა. საბოლოოდ დეკარტეს ღმერთს მაინც შემჩნეული მთელი რიგი ანტროპომორფიული თვისებები.

სპინოზამ კი კატეგორიულად უარყო ღმერთის ტრანსცენდენტობა და აგრეთვე ყოველგვარი მისი ანტროპომორფიული განმარტებანი. ამით მოხსნა წინააღმდეგობა ღმერთსა და ბუნებას შორის და ეს ორი ცნება ერთი მეორეზე დაიყვანა. ამავე დროს ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მიუხედავად ჩვეულებრივი შეხედულებისა, სპინოზამ ბუნება როდი დაიყვანა ღმერთამდის, ე. ი. მოახდინა არა ბუნების თეოლოგიული კითხი, არამედ ღმერთი დაიყვანა ბუნება-მდის, ე. ი. მოახდინა ღმერთის ნაკურალიული კითხი.

რომ ეს მტკიცება არ იყოს დეკლარატიული — მოვიყენან სათანადო ადგილებს და დებულებებს თვით ავტორის შრომებიდან.

პირველყოვლისა, უარყოფილია ღმერთის პერსონიფიკაცია, მისი ანტროპომორფიზაცია: „ღმერთში ადგილი არა აქვს არც განხებას არც ნებისყოფას“ (იხ. „ეთიკა.“ ივანცოვის თარგმანი, მოსკ. 1911. გვ. 27).

ამით არსებითად უკვე უარყოფილია ქვეყნის შექმნა, მისი თავისუფალი შემოქმედება. „ღმერთი მოქმედობს მხოლოდ და მხოლოდ თავისი შინაგანი ბუნების კანონით“ (ივე, გვ. 26), მაშასადამე, ღმერთში უარყოფილია თავისუფლება ანტროპომორფიული გაგებით, ე. ი. სურვილის განხორციელების ან თავისუფალი არჩევის თვალსაზრით. წილრედ ღმერთის ანტროპომორფიზაციის წინააღმდევ არის მიმართული შემდეგი შესანიშნავი ადგილი მიმოწერილან: „სამკუთხედს სიტყვის უნარის რომ ჰქონოდა, იგო ისევე იტყოდა, რომ ღმერთი სხვა არათერია, თუ არა და უაღრესად სრულქმნილი სამკუთხედი, წრე კი იტყოდა, რომ ღმერთის ბუნება სრულქმნილი წრისებურიაო“ (მიმოწერა. წერილი ს. 56. ბეჭედულის მიმართ).

აქედან ცხადია, რომ ღმერთს არ შეუძლია არათერის არჩევა და არსებული წესრიგის დარღვევა. „საგნები არ შეიძლება შექმნილყო ღმერთის მიერ რომელიმე სხვა სახით ან სხვა წესრიგით, ვიდრე ისინი არიან“ („ეთიკა“ გვერ. 45). ღმერთი წარმოადგენს ყოვლის შემცველელ მთლიანობას, უკეთ ერთიანობას — მის გარეშე არ არის არაფერი. „ღმერთის გარდა არც ერთი სუბსტანცია არ შეიძლება არც არსებობდეს და არც იყოს წარმოადგენილი („ეთიკა“ თეორემა გვ. 14—18). მაგრამ, თუ ღმერთის გარეშე არაფერი არ არსებობს, მაშინ ღმერთიც არ არის საგანთა მთლიანობის გარეშე“, იმავე აზრით, რომლითაც ღმერთის ეწოდება თავისი თავის მიზეზი, ის უნდა იყოს აღიარებული ყველა საგნების მიზეზი“ („ეთიკა“ გვ. 37). ენგელსის მიერ მაღლად შეფასებული causa sui-ს ცნება გამომდინარება.



რეობს ღმერთის ანუ სუბსტანციის ცნებიდან, როგორც ერთად ფრთხოები დაუსრულებელი და მაშისადამე განუსაზღველებიდან.

რამდენად ღმერთი არის ყველა საგანთა (მოდუსთა) ერთიანობა, ცხადია, იგი უნდა იყოს ბუნებისათვის იმანენტური და არა ტრინსცენდენტური. „ღმერთი არის იმანენტური მიზეზი ყველა საგნებისა და არა მომქმედი გარედან“ (თეორ. 18 „ეთიკა“ გვ. 31).

ამით უკვე დამტკიცებულია ღმერთის და ბუნების იგივეობა. მაგრამ ჯერ კიდევ არ არის მთლიანად ცხადი თვით ღმერთის ბუნება. ამიტომ სპინოზას მატერიალისტურ მსოფლმხედველობის თეოლ-საზრისით გარდამწყვეტია ღმერთის დამოკიდებულება სხეულისებრივი ბუნებასთან. „განფენილება წირმოადგენს ღმერთის ატრიბუტს, სხვა სიტყვებით—ღმერთი არის განფენილი საგანი“ (თეორ. 2, II ნაწ. „ეთიკა“ გვერ. 66). აქედან ცხადია, პირველი, რომ სხეულებრივი სუბსტანცია არ არის შექმნილი ღმერთის მიერ, ვინაიდან თვით ღმერთი არის განფენილი არსება; მეორე, რომ სხეულობა არ არის მხოლოდ მოდალობა, იგი არის აგრეთვე სუბსტანციალობა. სპინოზა პირდაპირ იგივებს სხეულის შეუქმნელობის ცნებას სუბსტანციის შეუქმნელობის ცნებასთან. უარყოფს რა აზრს სხეულების შექმნის შესახებ, იგი ლაპარაკობს: „ღვთის ძლევამოსილობის რომელი სახით შესაძლებელია მისი (სხეულის პ. შ.) შექმნა, იმათ არ იციან სრულიად—ეს კი ნიშნავს იმას, რომ თვითონაც არ იციან, რას ლაპარაკობენ. მე კი, ჩემის აზრით საკმარისად დავამტკიცე, რომ არავითარი სუბსტანცია არ შეიძლება შექმნილი იყოს სხვა რაიმეს მიერ“ („ეთიკა“ გვ. 20).

რამდენად არის ცდები სპინოზას სხეულის ცნება მოაცილონ მატერიალობას, საჭიროა გამოვარკეიოთ მაცი დამოკიდებულება. „მატერია ყველგან ერთი და იგივე და ნაწილები მასში შეიძლება განსხვავდებოდენ ერთი მეორისაგან მხოლოდ იმდენად, რამდენად ჩვენ წირმოვიდგენთ სხვადასხვა მდგომარეობაში. მაშასადამე, მისი ნაწილები განსხვავდებიან მხოლოდ მოდალურად“ („ეთიკა“ გვ. 24). ეს დებულება მოყვანილია იმის დასამტკიცებულად, რომ სხეულებრივი სუბსტანცია ერთიანი და განუყოფელია. აქედან ცხადი უნდა იყოს, რომ სხეულობა და მატერიალობა სპინოზასთან ერთი და იგივე ცნებია.

ამით საბოლოოთ დამტკიცებულია, რომ სპინოზამ სწორედ ღმერთი დაიყვანა ბუნებამდის, და ამით მოახდინა ღმერთის ნატურალიზაცია და არა ბუნების თეოლოგიზაცია.

საინტერესოა ის გარემოება, რომ სპინოზასათვის სუბსტანციის არსებობა არ არის პრობლემატიური, აյ თუ სპინოზა იძლევა მის არსებობის დამტკიცებას (მაგალითად I ნაწილის მერვე თეორემა,

„ეთიკა“), ეს მხოლოდ მოჩვენებაა. ამიტომ ის თვითონ აღნიშნულ თეორეტის დამტკიცებაში და სქოლითში აღნიშნავს, რომ სუბსტანცია ციის არსებობა უნდა იყოს ისეთივე აქსიომა, როგორც სხვა ეჭვილება მატიური დებულებანი, „ვინაიდან სუბსტანცია წარმოუდგენელია არა არსებოლად, სუბსტანციის ბუნებას აუცილებლად თანასდევს არსებობა“ (თეორ. 7,1 ნაწ. „ეთიკა“, გვ. 6).

მაშასადამე, ობიექტიური რეალობა პრობლემატიური როდია, არამედ არსებოთად აქსიომატიური გამოსავალი პრინციპია სპინოზა-სათვის.

როგორც უკვე ვიცით სპინოზას სუბსტანცია შეუქმნელია, იგი არსებობს დაუსრულებლად და რამდენად უკანასკნელს (სუბსტანციას) ახასიათებს მატერიალობა, იმდენად მატერიალური სამყარო შეუქმნელია, იგი დაუსრულებლად არსებობს.

მაგრამ არის ერთი ცნება სპინოზას ფილოსოფიაში, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ღმერთსა და ბუნების დუალიზმის დასასაბუთებლად, ~~ეს~~ არის ცნება natura naturans (ბუნება შემომწედი ან უკეთ მომქმედი) და natura naturata (ბუნება შექმნილი). ინ ეს ცნება აძლევს ბევრს საფუძველს ამტკიცს, რომ ბუნება (natura naturata) შექმნილი ღმერთის მიერ (natura naturans). მაგრამ იმის გათვალისწინების შემდეგ, თუ როგორ ახასიათებს სპინოზა ღმერთს ანუ სუბსტანციას — ცხადი უნდა იყოს, რომ ყოველგვარი ქმნილება გამორიცხულია. მაგრამ, გარდა ამისა, არის უშუალო დამტკიცებაც იმისა, რომ natura naturans და natura naturata-ს შორის არ არის შემქმნელ-შექმნილის, ე. ი. შემოქმედებითი დამოკიდებულება, რომ მათ შორის არ არის დროში მოცემული თანმიმდევრობა, არამედ ეს არის მხოლოდ ლოგიური გამომდინარება. სწორედ ამაზე ლაპარაკობს პირველი ნაწილის პირველი თეორემა: „სუბსტანცია თავის ბუნებით უფრო პირველადია, ვიდრე მისი მდგრადიობანი“ („ეთიკა“, გვ. 3).

შემდეგ: რამდენად სუბსტანცია შეუქმნელია — სუბსტანციის გარეშე კი არაფერია, იმდენად, ცხადია, რომ ყოველი მისი მხარე მუდმივი და დაუსრულებელია, და იმათვან თავისი თავად, შინაგანი აუცილებლობით გამომდინარეობენ მოდუსები. ეს რომ უფრო ცხადი გახდეს, მე მოვიყვან სათანადო ადგილს „ეთიკის“ პირველი ნაწილიან, სადაც უფრო პირდაპირ არის ნათქვამი natura naturans და — natura naturata-ს შორის დამოკიდებულების შესახებ. „სანამ შემდეგზე გადავიდოდეთ მე მინდა აღვნიშნო აქ, უკეთ გავახსენო მკითხველებს, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ჩვენ natura naturans (ბუნება მომქმედის) და natura naturata-ში (ბუნება განხორციელებული). ზემოხსნებულიდან, მე მგონია ცხადი უნდა იყოს, რომ natura naturans-ში ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ ის, რაც არსებობს

თავის თავად და წარმოდგენილი უნდა იყოს საკუთარი თავის სა-
შუალებით, სხვანაირად, სუბსტანციის ისეთი ატრიბუტები, რომელ-
ნიც გამოხატავენ მუდმივ და დაუსრულებელ არსებას, ე.ი. ღმერთს, რამდენად
რამდენად ის განიხილება, როგორც თავისუფალი მიზეზი. natura
naturata-ში იგულისხმება ყველაფერი ის, რაც გამომდინარეობს
ღმერთის ბუნების აუცილებლობითან, სხვანაირად: თვითეული მისი
ატრიბუტებიდან, ე.ი. ყველა მოდუსები, ღმერთის ატრიბუტებისა
(„ეთიკა“, გვ. 41). აქედან ცხადია, რომ natura naturans-ს და
natura naturata-ს დამოკიდებულება ჩვეულებრივ ფილოსოფიურ ტერ-
მინოლოგიაზე ნიშნავს არსობასა და მოვლენას შორის დამოკიდებუ-
ლებას, რამდენად სუბსტანცია როგორც ზოგადი და მთლიანი—მო-
ცემულია მოდუსებში.

ჩვენ დავინახავთ, რომ ეს დამოკიდებულება წმინდა მეტაფიზი-
კურია სპინოზას მოძღვრებაში, მაგრამ ეს მეორე საკითხია. მთელი,
სუბსტანცია ლოგიურად წინ უძლვის თავის მდგომარეობას, მაგრამ
ეს მოდუსები თავის თავად გამომდინარეობენ სუბსტანციის „შინაგანი
აუცილებლობით და არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენენ შე-
მოქმედებას. ამდენად სავსებით უმართებულო იქნებოდა სპინოზა-
თვის მიგვეწერა ღმერთის ტრანცენდენტობა და ბუნების და ღმერ-
თის დუალიზმი, როგორ ფორმაშიაც არ უნდა იყოს იგი.

რაც შეეხება სპინოზას ობიექტივიზმს—ამაზე ლაპარაკიც ზედ-
შეტია. გარდა ზემოდთვმულისა აქ შეიძლება აღინიშნოს, რომ გარ-
კვეულად არჩევს ერთი მეორესაგან რეალურ და მათემატიკურ (გეო-
მეტრიულ) სხეულებს („ეთიკა“, გვ. 23). ამრიგად, სავსებით უსაფ-
უძლოდ უნდა ჩაითვალოს ფილოსოფიის ცნობილი ისტორიკის
კუნთ-ფიზიკის აზრი, თითქოს სპინოზას გაიგივებული ჰქონდა რეა-
ლური და ლოგიური საფუძველი.

გადავდივარ რა ატრიბუტების ცნებაზე სპინოზას ფილოსოფია-
ში უნდა აღვნიშნო, რომ თუ სუბსტანციის გაგებაში მოცემულია
გარკვეული აზრები და ორაზროვნობას არა აქვს ადგილი, სპინოზას
მოძლვება ატრიბუტების შესახებ უეჭველად შეიცავს ბუნდოვან და
ორაზროვან ადგილებს, სადაც მართლა საფუძველი აქვს სხვადასხვა-
გვარ ინტერპრეტაციას. ყოველ შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს, რომ
ამ საკითხში ყველაზე უფრო მძლავრია საშუალო საუყუნოების სქო-
ლასტიკის და უშუალო წინამორბედების გაელენა სპინოზაზე.

მართლაც, სწორედ ამ საკითხმა გამოიწვია ყველაზე უფრო
მეტი დავა სპინოზას ფილოსოფიის გაგებაში. აზრთა სხვადასხვობა
ძირითადად შეიძლება დაყვანილი იქნას ოთხ მომენტამდის. მე ძა-
ლიან მოქლედ შევწერდები ოთხივეზე. პირველი: იყო ცდა ატრიბუ-
ტები გაეგოთ როგორც ადამიანის განსკრეტის ფორმები, როგორც

ხერხები აღამიანთა მიერ სუბსტანციის შემცნებისა. ერთი სიტყვით
იყო ცდა სპინზას კანტთან გაიგივებისა. თითქოს სპინზას ატრი-
ბუტები არ მიაჩნდა ობიექტიურ რეალობის გამოხატულებად. შეხედულების ყველაზე უფრო ენერგიული წარმომადგენელი ჟურ-
ნალი ერდმანი. პირველი შეხედვიდან თითქოს ახეთი გაეგის სასარგებ-
ლოდ ლაპარაკობს სპინზას მიერ დასაწყისშივე მოცემული ძირი-
თადი განმარტება. „ატრიბუტში მე ვგულისხმობ მას, რასაც გონება (ყვ.)
წარმოიდგენს სუბსტანციაში, როგორც მისი არსების შემადგენელს
(„ეთიკა“ გვ. 2.) ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ხაზს უსვამეს სი-
ტყვებს „გონება წარმოიდგენს“, მაგრამ ეს დიდი გაუგებრობაა, ვი-
ნაიდან სპინზას მოძღვრებაში ყველაფერს წარმოიდგენს გონება,
მაგრამ სპინზა პრინციპიალურად უარყოფდა საგნის წარმოდგენის
და წარმოდგენის საგნის გაიგივებას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი
სუბიექტიური იდეალისტი იქნებოდა.

გარდა ამისა, როგორც არაპირდაპირ არგუმენტს იყენებენ
იმ გარემოებასაც, რომ სპინზამ დაუშვა ღმერთში განუსაზღვრელი-
დაუსრულებელი ატრიბუტები, რეალურ შესაცნობად კი მხოლოდ აზროვნების და განვენილების ატრიბუტი. ამაში ხედავენ დიდ შინაგან.
წინააღმდეგობას და ცდილობენ ატრიბუტების ფორმალისტური გა-
გებით მოხსნან იგი. ამ შემთხვევაში დათვურ სამსახურს უწევენ სპი-
ნზას. არსებითად აქ არ არის ის წინააღმდეგობა, რომელსაც ჩვეო-
ლებრივ ხედავენ. ეს წინააღმდეგობა გამომდინარეობს სპინზას ფი-
ლოსოფიის ზოგად და ძირითად ნაკლიდან, ე. ი. მისი მეტაფიზიკუ-
რობიდან. ამაზე ქვემოდ მოგახსენებთ.

ღმერთს ანუ სუბსტანციას, რამდენად იგი უსრულოს, განუსაზ-
ღვრელსა და ყოვლის შემცველ წარმოადგენს, არ შეიძლება ახასიათებ-
დეს განსაზღვრული ატრიბუტები. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი
უსრულო არც კი იქნებოდა. ვისაც ჰერნია, რომ ამ უსრულო ატრი-
ბუტების დაშვება ღმერთში თავის თავად შეცდომაა, მან საზოგა-
დოდ უნდა დაუშვას სინამდეილის, სამყაროს შეზღუდულობა.

მაგრამ რატომ არ განმარტა სპინზამ არც ერთი სხვა ატრი-
ბუტი გარდა აზროვნებისა და განვენილებისა? იმიტომ, რომ ვერ-
განმარტავდა, რადგანაც შისი დროის მეცნიერება წარმოადგენდა-
განსაკუთრებით რაციონალურ ფსიქოლოგიას და მექანიკას, ამ მექანი-
კის საფუძველი კი იყო კარგად განვითარებული მათემატიკა. მაშა-
სადამე, ერთის მხრივ მეტაფიზიკური, არა ისტორიული გაგება-
უსრულობისა, როგორც მხოლოდ თანაარხებობის და არა პრიცე-
სისა, მეორეს მხრივ თვით მეცნიერების განვითარების განსაზღვრული
დონე, — ა რამ განსაზღვრა სპინზას წინააღმდეგობანი აღნიშნულ, სა-
კითხში.

მაშასადამე, შეცდომა არის არა თვით უსრულო ატრიბუტების—
დაშვება, როგორც ზოგიერთებს ჰკონია—ეს სწორედ წარმოადგენს
კვიას ცალმხრივი მექანისურაზ იგივეობის დაძლევისა, არამედ ამ და-
უსრულებლობის აბსტრაქტულ მეტაფიზიკური გადება.— აი რაში
მდგომარეობს სპინოზას ფილოსოფიის ნაკლ. სწორედ პირიქით,
სუბსტანციის უსრულობა მის ატრიბუტებში (არსებით მხარეებში)
იყო პროგრესიული, რამდენად იგი უარყოფს ყოველგვარ ბუნების გა-
რეშე ძალების ჩარევას.

სპინოზა იძლევა არსებითად დიალექტიკურ წარმოდგენას გან-
მარტებაზე omnis determinatio est negatio, ე. ი. ყოველი განმარტება
უარყოფაა იმდენად, რამდენად იგი მხოლოდ გარკვეული,
არსებითი მომენტის ფიქსაცია ყველა დანარჩენის გამორიცხვით. მა-
გრამ არსებითობა ნიშნავს შეფარდებას, ვინაიდან ყოველი სპეციფი-
ურობის ცნება გულისხმობს გარეშე დამოკიდებულებას. ამ მხრით
ღმერთში არ არის არც ერთი არსებითი მხარე, ვინაიდან მასში ყვე-
ლა მხარე არსებითია, რამდენად მის გარეშე არ არის არაფერი,
რამელთანაც შეიძლებოდა ყოფილიყო დამოკიდებულებაში. ამიტომ
სუბსტანციის ერთად ერთი განმარტება მისი განუსაზღვრელობა
არსებითი მხარეების, ე. ი. ატრიბუტების უსრულობა, სუბსტანცია უნდა
იყოს ყოველი შესაძლებელი რეალობის შემცველი. სწორედ ასე განმარტება
სპინოზა სუბსტანციას.

ანალოგიისათვის (ზხოლოდ ანალოგიისათვის) მე მოვიყენ ლენი-
ნის დებულებას მატერიის განმარტების შესახებ. მატერიის, როგორც
ზოგადის, არსის განმარტება მდგომარეობს მის ობიექტიურ რეალო-
ბაში, ამავე დროს მის უსრულობაში, ვინაიდან მის გარეშე არ არ-
სეპობს არაეითარი რეალობა. მაგრამ იგივე მატერია ამოუწურავია
არა მარტო რიცხვობრივად, არამედ თვისებრივადაც, და არა მარტო
მთლიანობაში, არამედ ყოველ ცალკეულ მომენტში; ყოველ ცალ-
კეულ დიდ და პატარა ნაწილში, „ელექტრონი ისევე ამოუწურავია,
როგორც თვით ბუნება—იგი დაუსრულებლად არსებობს“.

რამდენად თითქმის იგივეობაა სპინოზას სუბსტანციის განმარტებასა და ლენინის მატერიის ზოგად განმარტებას შორის, იმდენადვე
პრინციპიული წინააღმდევობაა სპინოზას და ლენინის შორის ამ
უსრულობის შინაგან მომენტების ნაწილების, დამოკიდებულების სა-
კითხში. და სწორედ ეს გვიჩვენებს სპინოზას ფილოსოფიის ძირითად
ნაკლ. სპინოზა ცდილობს აბსოლუტურად დაუსრულებელი სუბ-
სტანცია აბსოლუტურად დასრულებულ მოვლენებში წარმოადგინოს,
ამდენად აუცილებელია მათი გათიშვა. ლენინი კი აბსოლუტურად
დაუსრულებელ მატერიის ყოველ ცალკეულ მომენტსაც სთვლის და-
უსრულებლად მოვლენათა შინაგან და არა მარტო გარეგნულ კავ-

შირის-საფუძველზე. ერთი სიტყვით, სპინოზა გენიალური მეტაფიზიკური ჯიკსია. ლენინი გენიალური დიალექტიკოსი. სპინოზას გააჩნია მეტაფიზიკური რიბუტების რეალობის უშუალო დასაბუთებაც „ეთიკის“ პირველ ნაწილის მე-9 თეორემაში (გვ. 11), სპინოზა ამტკიცებს, რომ „რამდენად უფრო მეტი რეალობა ან არსება აქვს ამა თუ იმ საგანს, მას იმდენად უფრო მეტი ატრიბუტები აქვს.“

მაშასდამამე, ზემოდ განხილული ცდა ატრიბუტების ფორმალისტურ სუბიექტივისტური ინტერპრეტაციისა უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს.

1) მეორე: არის ცდა ატრიბუტები გაიგონ, როგორც დამოუკიდებელი სუბსტანციები. ასეთი ცდა აქვს, მაგალითად, წარმოდგენილი ტობინსონს თავის წიგნში, „სპინოზას მეტაფიზიკა“. ის ცდილობს დაამტკიცოს, რომ ეს უფრო პატარა სუბსტანციები—ატრიბუტები მექანიკურად იყრიან თავს განუსაზღვრელ მთლიან სუბსტანციაში. ცხადია, რომ ასეთი შეხედულება უცხოა სპინოზისთვის, რომელიც ამტკიცებს, რომ სუბსტანცია ერთად-ერთი განუყოფელი და განუსაზღვრელია. „სუბსტანცია, აბსოლუტურად დაუსრულებელი—გაუყოფელია“ („ეთიკა“ გვ. 17). ამდენად არ შეიძლება არსებობდეს მრავალი სუბსტანცია.

2) მესამე: იყო იგრეთვე ცდა სპინოზას ატრიბუტები გაეცემული ყო როგორც ძალა. ასეთი შეხედულებას იცავს, მაგალითად, კუნთფიშერი, მაგრამ ესეც არ გამოხატავს კეშმარიტებას, ვინაიდან სპინოზამ არსებითად უარყო საშუალო საუკუნოების მეტაფიზიკური ძალები, მისთვის არსობა და მოქმედება ერთი მეორეს ემთხვევიან მხოლოდ მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულების მხრივ, რაც სრულებით არ ნიშნავს რაღაც მისტიურ ძალას, რომელიც ოდითვანვე ახასიათებდეს სუბსტანციას.

3) მეოთხე: იყო იგრეთვე ცდა განსაკუთრებით დებორინის ჯგუფის წარმომადგენლების მიერ სპინოზას ატრიბუტების გაიგივეობისა თვისობრივობის, ქვალიტეტის დიალექტიურ-მატერიალისტურ გაგებასთან. უნდა ითქვას, რომ ეს ყველაზე უფრო მიუტევებელი შეცდომაა. სპინოზას ატრიბუტი წარმოადგენს აბსოლუტურად ერთმხრივ, ერთობითან ზოგადობას და ამ ერთმხრიობაში დაუსრულებელს. ქვალიტეტი კი სულ სხვაა. იგი სპეციფიურობაა, გარკვეულობაა, სტრუქტურული ფორმაა, მაგრამ არა იგივეობა, ე.ი. ერთმხრიობა არამედ მრავალი თვალსებების მთლიანობა. რამდენად ატრიბუტი სუბსტანციის მხოლოდ და მხოლოთ ერთ მხარეს გამოხატავს, იგი უფრო ვიწროა, ვიდრე ქვალიტეტი, რამდენად იგი ამ ერთმხრიობაში დაუსრულებელია (სპინოზას თეორიოლოგიით დაუსრულებელი თავის გვარიდ) ის უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ქვალიტეტი.

მაშ რას წარმოადგენს ატრიბუტის ცნება სპინოზას ფილოსოფიაში? ნაწილობრივ ამ კითხვაზე პასუხი გაცემულია ზევით. ატრიბუტი არის მარადიული და უცვლელ სუბსტანციის ერთი (მხოლოდ ერთი) მხარის გამოხატულება. როგორც უკვე აღნიშვნულია, ატრიბუტის დაუსრულებლობა, მხოლოდ ერთმხრივია და სწორედ ამიტომ განმარტავს სპინოზას, როგორც დაუსრულებელს თავისევარად და არა აბსოლუტურად დაუსრულებელს, როგორიცაა სუბსტანცია. ატრიბუტი არის ზოგადობა, მაგრამ ცალმხრივი ზოგადობა, ერთტიკიანი, რაც ნიშანის ერთი გარკვეული თვისებების დაუსრულებელ პროგრესიას. ამიტომ ატრიბუტები არ გადადიან (ზინაგანი კავშირის თვალსაზრისით), ერთი მეორეში. „ყოველ ატრიბუტის მოდუსებს თავის მიზეზად აქვს ლერთი, რამდენად ის განიხილება მხოლოდ იმ ატრიბუტის ქვეშ, რომლის მოღუსს იგი წარმოადგენს და არა სხვა რომელიმესი“. („ეთიკა“ გვ. 69—70). სწორედ აქ ყველაზე უფრო მეტიონდ მოსჩანს მოელი სისტემის მეტაფიზიკური ხასიათი, რაც სპინოზას მონიზმს აძლევს მეტად განყვენებულ სახეს. სუბსტანცია უცვლელია, მარადიულია—მაშასადამე, მას აქვს უცვლელი მარადიული მხარეები ან არსებანი, / რომელნიც ამავე დროს უნდა გადადიოდენ გარდამივალ, ცვალებად ერთეულ ნივთებში. /


ქვემოდ ამ საკითხს უფრო დეტალურად შევვხები,—აქ კი
ხახს გაუსვამ იმ გარემოებას, რომ სწორედ ეს აბსტრაქტულ მეტა-
ფიზიკური ხასიათი სპინოზის მონიშვისა საბუთს აძლევს ზოგიერთ
ინტერპრეტორებს, მაგ. კუნო-ფიშერს, ჩელპანოვს და სხვ. აზროვნე-
ბის და განვენილების დუალიზმი (პიქტ-ფიზიკური პარალელიზმი)
დაასაბუთონ სპინოზის ფილოსოფიაში. კუნო-ფიშერი კატეგორიუ-
ლად ამტკიცებს, რომ სპინოზა ამ საკითხში კარტეზიანელი დარჩა
თავიდან ბოლომდე. მაგრამ თუ ამ გადამტყველ საკითხში სპინოზა
კარტეზიანელია—მაშინ იგი შთლიანიდ კარტეზიანელი ყოფილა და
მის ფილოსოფიის არ უნდა ახასიათობდეს მთნიზმი. მე შევეცდები
დავამტკიცო, რომ ეს სრულებით არ არის ასე და ვინც სპინოზის
აქტერს ფიქტ-ფიზიკურ პარალელიზმს იგი მის ფილოსოფიას ამა-
ხინჯებს უთუოდ.

რით ასაბუთებს, მაგალითად კუნო-ფიშერი თავის შეხედულობაში ამოგორც მის თვალსაჩინო დამტკიცებაზე ის მიგვითითებს „ეთიკის“, მეორე ნაწილის მე 5 და მე-6 თეორებებზე. რადგან მეტქვეს თეორება სწორედ ასლა მოვიყენეთ ზევით, მას არ გვიმეორებთ და მოვიყვანთ მე-5 თეორებას და დავამტკიცებთ, რომ არც ერთი და არც მეორე არ ამტკიცებს ფიშერის დებულებას. „იღების ფორმალურ ყოფადობას აქვს თავის შინებად ღმერთი, მხოლოდ რამდენად იგი განიხილება, როგორც მოაზროვნე არსება და არა სხვა რომელიმე ატრიბუტის ქვეშ“ („ეთიკა“, 6. II, თეორ. 5, გვ. 68). ამით მტკიცდება მხოლოდ ის, რომ ყველა მოფუსის ფორმალური საფუძველი მოცემულია სათანადო ატრიბუტებში, როგორც სუბსტანციის არსობის უშუალო გამოხატულებებში. სხვანაირად არც კი შეიძლებოდა ყოფილიყო მეტაფიზიკოს სპენიშას მოძღვრებაში, რამდენად სუბსტანცია და მისი არსობა დროის გარეშეა, რამდენად იგი უცვლელია, მაშასადამე, რამდენად უარყოფილია სტრონიული წარმოშობა.

ମାଧ୍ୟମରେ, ଉପରେରେ ଦିଲ୍ଲି ଶୁଣିବାକୁ ଲୁହ କୁରମନ୍ତରେ
ଶ୍ଵେତଗୁରୁଙ୍କ ଶୁଦ୍ଧସ୍ତ୍ରାବ୍ୟାପୀତି ଗାନ୍ଧୀଯର୍କୁ ଏହାରେ ଅନ୍ତରୀଳରେ
ଦିଲ୍ଲିରେ (ଜୁରିମାଲୁହ ଯୁଦ୍ଧାଦର୍ପିଲୋବାର ଗାନ୍ଧୀଙ୍କାଙ୍କାରିତା), ଲେଖାକୁ ଶ୍ଵେତଗୁରୁଙ୍କ
ଅତ୍ୱିକାରୀତିରେ ମନ୍ଦରୂପୀତି ଶ୍ଵେତଗୁରୁଙ୍କ ଗାନ୍ଧୀଯର୍କୁ ଏହାରେ ଅନ୍ତରୀଳରେ
ଦିଲ୍ଲିରେ ଆଲ୍ଫ୍ରେଡ୍ ସାଙ୍କେତିକୀ ଉପରେରେ ଦିଲ୍ଲି ଶୁଣିବାକୁ ଲୁହ କୁରମନ୍ତରେ
ଶ୍ଵେତଗୁରୁଙ୍କ ଶୁଦ୍ଧସ୍ତ୍ରାବ୍ୟାପୀତି ଗାନ୍ଧୀଯର୍କୁ ଏହାରେ ଅନ୍ତରୀଳରେ
ଦିଲ୍ଲିରେ (ଜୁରିମାଲୁହ ଯୁଦ୍ଧାଦର୍ପିଲୋବାର ଗାନ୍ଧୀଙ୍କାଙ୍କାରିତା), ଲେଖାକୁ ଶ୍ଵେତଗୁରୁଙ୍କ
ଅତ୍ୱିକାରୀତିରେ ମନ୍ଦରୂପୀତି ଶ୍ଵେତଗୁରୁଙ୍କ ଗାନ୍ଧୀଯର୍କୁ ଏହାରେ ଅନ୍ତରୀଳରେ
ଦିଲ୍ଲିରେ ଆଲ୍ଫ୍ରେଡ୍ ସାଙ୍କେତିକୀ ଉପରେରେ ଦିଲ୍ଲି ଶୁଣିବାକୁ ଲୁହ କୁରମନ୍ତରେ

ამრიგედ, რეალურად იდეებს არა აქვს დამოუკიდებელი არსებობა. ისინი დაკავშირებული არიან სხეულებთან, როგორც თავითმომავალი და უცილებელი შინადართუსთან და არსებითად გაპირობებული არიან მათ მიერ. ამაზე თვით სპინოზა გარკვეულად — ლაპარაკობს სწორედ უშუალოდ იმ თეორებების შემდეგ, რომლებსაც კუნო-ფუშერის აზრით უნდა დაუმტკიცებია ფსიქოთიზმური პარალელიზმი. „იდეათა კავშირი და წესრიგი იგივეა, რაც საგანთა კავშირი და წესრიგი“ (თეორ. მე-7, ნაწ. 2, „ეთიკა“ გვ. 70). ამავე თეორების სქოლითში ის უფრო გარკვეულად ლაპარაკობს ამ საკიბოს შესახებ... „სუბსტანცია მოაზროვნე და სუბსტანცია განთვილი შეადგინენ ერთ და იმავე სუბსტანციას, ერთ შემთხვევაში წარმოდგენილს ერთი ატრიბუტის, მეორე შემთხვევაში — მეორე ატრიბუტის ქვეშ. სწორედ ასევე განთვილების მოდუსი და ამ მოდუსის იდეა შეადგინენ ერთსა და იმავე საგანს, მხოლოდ ორი სახით (ფორმით — 3. შ.) გამოხატულს“ (იქვე, გვ. 71).

ამრიგად, სპინძა სრულებით არ ეწინააღმდეგება თავის თავს, როცა იგი აღიარებს სულის და სხეულის ერთოანობას ერთ და იმავე ინდივიდუუმში. „სული და სხეული წარმოადგინან.”





იმავე ინდივიდუუმს, წარმოდგენილს ერთ-შემთხვევაში, აზროვნების უძრავი მოვალეობა ატრიბუტის ქვეშ, მეორე შემთხვევაში განთვალისწინების ატრიბუტის ქვეშ“ („ეთიკა“ გვ. 98). სულის და სხეულის (აზროვნების და გან-ფენილების ატრიბუტების (მოდუსების) დამოკიდებულების გავება როგორც ერთ ინდივიდუუმში მოცემულის, როგორც ამ ინდივიდუუმის ნაწილების, ნიშნავს მათი განუყრელი რეალური კავშირის აღიარებას. თქმულის შემდეგ, ვფიქრობ, იჭვი არ უნდა დარჩეს სპინოზასთან აზრის და არსის დუალიზმის შესახებ.

ამავე დროს ზემოთთვეშული იძლევა ხელახალ არგუმენტს ატრიბუტის ცნების ჩერ მიერ მოცემულ ინტერპრეტაციის სასა-რგებლოდ — ე. ი. ატრიბუტები როგორც ერთტიპიან, ერთმხრივ თვისების ფორმალური ზოგადობა. სუბსტანციაში რეალურ საგნებ-ში სხვადასხვა ატრიბუტების მოდუსები ვანუყრელად დაკავშირებული არიან ერთი მერქსთან. ასე, მაგალითად, იდეას, როგორც ფორმას აქვს თავისი აჩსება აზროვნების ატრიბუტში, მაგრამ იდეის შინაარსი ყოველთვის მოცემულია ობიექტიურ სხეულებში. „იდეის ობიექტი არის სხეული... და სხვა „არაფერი“ ანდა „სულის იდეა, ე. ი. იდეის იდეა არის სხვა არაფერი, გარდა იდეის ფორმისა, რამდენად ის განიხილება, როგორც აზროვნების მოდუსი, ობიექტივისაგან დამოკიდებლად“ („ეთიკა“ გვ. 80).

ახლა შევეხოთ მოდუსის ცნებას სპინოზას ფილოსოფიაში, „მოდუსში მე ვგულისხმობ სუბსტანციის მდგომარეობას, სხვანაირად, მას, რაც არსებობს სხვაში და წარმოიდგინება სხვაში“ („ეთიკა“ გვ. 2). აქ მაშინათვე იბადება კითხვა მოდუსების და ატრიბუტების შესახებ სპინოზას ფილოსოფიაში. პირველ შეხედვიდან შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჯერ სუბსტანცია გადადის ატრიბუტში, შემდეგ კი ატრიბუტი — მოდუსში, მაგრამ უკვე მოყვანილი განმარტება მო-დუსებს საფლის „სუბსტანციის მდგომარეობად“. აქ უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომელიც ჩვეულებრივ ჟურნალებობა ან გაუ-გებელი რჩება — სახელდობრ: მოდუსის ორნაირი გავება სპინოზას ფი-ლოსოფიაში: მოდუსის ერთი მნიშვნელობა მდგომარეობას იმაში, რომ იგი წარმოადგენს სუბსტანციის რომელიმე ცალკეულ ატრიბუ-ტის მოდიფიკაციას — ამ შემთხვევაში იგი უდრის ცალკეულ საგნის რომელიმე თვისებას (სპინოზაც არსად უარყოფს იმ გარემოებას, რომ ცალკეულ საგანს შეიძლება ჰქონდეს მოვალი მხარეები, ა თვისე-ბები თუმცა რაოდენობით მაინც განსაზღვრული) — მეორე მნიშვნე-ლობით კი მოდუსი უდრის უკვე ცალკეულ საგანს, რომელშიც მოცემულია ორი ან რამდენიმე ატრიბუტების მოდიფიკაცია — იმ-დენად იგი არ არის ატრიბუტის მოდიფიკაცია, არამედ იგი ამ შემთ-ხვევაში სუბსტანციის მოდიფიკაციაა. მაშასადა მე, ცალკეულ საგან

ში. რეალურად დაკავშირებული არიან სხვადასხვა ატრიბუტების მოღუსები, მაგალითად, აღმიანი, როგორც სუბსტანციის მოღუსი, შეიცავს ორი ატრიბუტის — აზროვნების და განფენილების—მოღუსებს.

ზოგიერთები (მაგ. კუნო-ფიშერი) აქაც ხელავენ შინაგან წინააღმდეგობას სპინოზას ფილოსოფიაში—ერთის მხრივ სუბსტანციას აქვს დაუსრულებელი ატრიბუტები, მეორეს მხრივ—ყოველ ცალკეულ საგანში მოღუსების რაოდენობა განსაზღვრულია. ასე რომ სუბსტანცია ყოველმხრივ არ არის მოღუსში გამოვლენილი. მაგრამ განა ეს კანონიერი მოთხოვნაა, რომ ცალკეულმა ნიერთა მთლიანად ამოსწუროს მთელი ბუნება? შართალია, თუ საკითხს დაიალექტიურად მიუდგებით, როგორც ზემოდ იყო იღნიშვნული, ყოველი ცალკეული დაუსრულებელია, რადგანაც იგი მოცემულია დაუსრულებელ კავშირში მთელთან, მაგრამ თავის თავად აღებული იგი მხოლოდ ნაწილია მთელისა და ამდენად მისი მთლიანად გამოხატვა არ შეუძლია.

მით უფრო უკანონოა ისეთი მოთხოვნის წამოყენება მეტაფიზიკურ სისტემის წინაშე, რომელსაც, როგორც ზემოდ აღვნიშნე, არ ჰქონდა გათვალისწინებული ცალკეული საგნების ერთი მეორეში უშუალო გადასცელა („კავშირის“ და რომელიც გამოდის, მათი გარეგნული კავშირიდან. სპინოზას ცალკეული ნიერთებისთვის რომ მიენიჭებია დაუსრულებელი მხრივი, ისინი მართლა გადაიქცეოდენ სუბსტანციებად, რაც სპინოზას სისტემის ეწინააღმდეგება. ამდენად დაუსრულებელი სუბსტანცია შეიძლება მოცემულ იქნეს დაუსრულებელ მოღუსებში.

გარდა ამისა, ზოგს სურს წინააღმდეგობა დაინახონ იმაშიაც, რომ სპინოზას თვალსაზრისით ყოველი ატრიბუტი უნდა იქნეს წარკაც გვ. II) და ამავე დროს აზროვნების მოღუსის საშუალებით უნდა იქნას. შემეცნებული განფენილი სხეულები. ერთი სიტყვით მოყვანილი დებულებიდან უნდათ გამოიყვანონ გარეშე საგნების შეუცნობლობა სპინოზას მოღურებაში, ე. ი. ავონსტიციზმი დაინახონ. მავზას აქ არ ახასიათებს არაგითარი წინააღმდეგობა, ვინაიდან სავნის საკუთარი არსობის მეორებით შემეცნება სრულებით არ ნიშნავს სხვის შეირ შემეცნების შეუძლებლობას. მაგვარი შემეცნება ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ შესაცნობი მბიჯეტი თავის საფუძველს, თავის განმარტებებს თავისივე ფარგლებში შეიცავს, მაგ. მოღუსი — აღმიანის სული შეიცნობს ატრიბუტს მისივე საშუალებით მისივე შინაგანი არსებიდან და არა სხვა ატრიბუტიდან, ან მით უმეტეს მოღუ-

სიღან. მხოლოდ ამ შინაარსით უნდა გავიგოთ ზემოთმოყვანილ
დებულება და არა ისე, თითქოს ან ყველა ნივთი თავის თავს შეუცველებელი
ნობს ან ნივთები საზოგადოდ შეუცნობელია. რამდენად რომელიმე
ნივთი ანუ მოვლენა თავის აქსნა-გაგებისათვის არ გულისხმობს სხვა-
ნივთს ან მოვლენას, მასზე ლაპარაკობენ, რომ იგი შეიცნობა საკუ-
თარი არსობის მეოხებით.

მაშასადამე, აქ არ უნდა ჟეძიოთ წინააღმდეგობა სპინოზას ფი-
ლოსოფიისა, არამედ იმ მიმართულებით, რომელიც სწორედ ახლა-
იქნება გარევეული.

მოდუსი წარმოადგენს აბსოლუტურად, გარეგნულად გაპირო-
ბებულს, მაშასადამე, მას აქვს თავის არსებობის საფუძველი მხოლოდ
და მხოლოდ თავისი თავის გარეშე ყოველი. ცალკეული საგნით, მეორე—მესამით, მესამე-
მეოთხით და ასე უსაზღვრობდ. რამდენად აღიარებულია მხოლოდ
გარეგნული კავშირი ცალკეულ საგნებს შორის და აბსოლუტურად
უარყოფილია ყოველგვარი უშუალო, შინაგანი კავშირი მათ შორის,
მათი ურთიერთი შეჭრა, იმდენად, მაშასადამე უარყოფილია ყოველ-
გვარი შინაგანი საფუძველი მათი არსებობისა (ლმერისი მიერ შექ-
ნილ საგანთა არსება არ შეიცავს არსებობას („ეთიკა“ გვ. 36). სრუ-
ლებით გაუყებარია როგორ იხსნება ეს ცალმხრივი გაპირობების-
ყალბი დაუსრულებლობა სუბსტანციაში, როგორც თავის თავის-
შიჩებში (Causa sui), სადაც უკვე მთლიანად ემთხვევა ერთი-მეო-
რეს არსებობა და არსება („ლმერისი არსებობა და მისი არსება
ერთი და იგივე“ „ეთიკა“ გვ. 32). როგორც ხედავთ, აქ არ არის
არავითარი უშუალო გადასვლა სრულობიდან უსრულობისაკენ; ნა-
წილიდან მთელისაკენ და პირუტოდ. მათ შორის ჩნდება მეტაფიზი-
კური გარღვევა.

მართოლია, სპინოზა ცდილობს დაამყაროს კავშირი მათ შო-
რის, ე. წ. უსრულო მოდიფიკაციების მეოხებით, მაგრამ ისინი ვერ
გამორიცხავენ გარდამწყვეტ წინააღმდეგობას ამ პუნქტში, ვინაიდან
დაუსრულებელი მოდიფიკაცია არსებითად სხვა წოდებაა ატრიბუ-
ტისათვის, რამდენად უკანასკნელში გამოხატულია ცალკეული დაუს-
რულებელი მხარე სუბსტანციისა და სწორედ მათი (ატრიბუტების).
მოდიფიკაციის მთლიანობა შეადგენს ცალკეულ საგნებს + ამრიგად,
აღნიშნულ ცნებით მაინც არ მტკიცდება უშუალო, შინაგანი გადა-
ვლა ცალკეულთა შორის და მაშასადამე, ცალკეულთა და მთელ, ე. ი.
სუბსტანციას შორის.

კიდევ უფრო თვალსაჩინო ფორმაში იჩენს თავს აღნიშნული-
მეტაფიზიკური გარღვევა სუბსტანციის აბსოლუტურ განუყოფელო-
ბაში და მოდუსების გაყოფაში. სუბსტანციის განუყოფელობის თეო-

რემა უკვე მოყვანილი იყო ზემოდ, აქ კი მოვიყვან მეტად დამახა-
სიათებელ აღვილს: „წყალი, რამდენიდ იგი წყალია - იყოფა და მოსახურებულია
ნაწილები სცილდება ერთი შეირქს, მაგრამ ეს მისთვის შეუძლებელია, რამდენადც იგი სხეულებრივი სუბტანციაა, ვინაიდან, როგორც
ასეთს მას არა ძევს უნარი არც გაყოფისა და არც გათიშვისა.
წყალი, როგორც წყალი წარმოიშობა და ისპობა, როგორც სუბტანცია კი, იგი არც წარმოიშობა და არც ისპობა“ (თეატრი, გვ. 24).

ამრიგად, სუბსტანცია სხვაგვარად რომ ვთქვათ, საყოველთაო
არსობა საგნებისა მეტაფიზიკურად სცილდება უკანასნელო და თუ
შეუხედავათ ამისა სპინოზას სუბსტანცია მაინც წარმოადგენს საგან-
თა იმანენტურ არსობას—ეს დებულება სრულებით არ არის მის
ფილოსოფიაში მეთოდოლოგიურად დასაბუთებული.

სუბსტანცია გარდასულია რაღაც აბსოლუტში, რომელიც უძ-
რავი, უცვლელი და განუყოფელია და მავე დროს უნდა იყოს შინა-
არსი ყოველი არსებულის, მაგრამ სრულებით უმართებულო იქნება
სპინოზას სუბსტანციის იდეალიზაცია ~~როგორც~~ ამათ ხშირად ჩადი-
ან ხოლმე საბჭოთა კრიტიკოსებიც (მაგალ. იქსელროდი და სხვ.).
ზეოთმოყვანილ დებულებების გარდა შეიძლება აქ მოვიყვანოთ მე-
ტად საინტერესო აღვილი, რომელიც ნათელჲყოფს, რომ განუყო-
ფელობა სრულებით არ წარმოადგენს რაღაც მისტიურ თვისებას და
ნიშნავს მხოლოდ განუწყვეტელ არსებობას სივრცეში, სუბსტანცია-
ლურ დისკურსობის უარყოფას ცარიელ სივრცის უარყოფის ნიადა-
გში. მართლაც, და სხეულებრივი სუბსტანცია რომ იყოფილი იმ
სახით, რომ მისი ნაწილები ნამდვილად ყოფილიყოს განსხვავებული,
მაშინ რატომ არ შეიძლებოდა განადგურებულიყო ერთი ნაწილი იმ
დროს, როცა სხვები, როგორც წინათ დარჩებოდენ ერთი-მეორესთან
შეერთებაში. რატომ უნდა იყოს ისინი ერთი-მეორესთან დაკავშირე-
ბული იმ სახით, რომ მათ შორის ცარიელი სივრცე არ არსებობ-
დეს? (3. შ.). საგნები ერთი მეორისაგან რეალურად განსხვავებუ-
ლინი, მართალია, შეიძლება არსებობდენ და დარჩენ თავიანთ მდგო-
მარეობაში ერთი მეორის დამოუკიდებლად, მაგრამ ვინაიდან ცარიე-
ლი სივრცე არ არსებობს... ყველა ნაწილები უნდა იყვნენ შეერთე-
ბული იმ სახით, რომ მათ შორის არ უნდა იყოს დარჩენილი
ცარიელი სივრცე—აქედან გამომდინარეობს ის, რომ მისი /ნაწილები
რეალურად (ე.ი. სუბსტანციალურად 3. შ) არ შეიძლება განსხვავ-
დებოდენ ერთი მეორისაგან, რომ სხეულებრივ სუბსტანცია, რამდე-
ნად ის სუბსტანციაა, არ შეიძლება იყოფოდეს („ეთიკა“ გვ. 24).

ამგარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ნამდვილი წინააღმდეგობანი სპი-
ნოზას ფილოსოფიისა მდგომარეობენ მის არა დიალექტიურობაში
მთლიანად, თუმცა მთელ რიგ საკითხების გაგებაში (სუბსტანცია,

როგორც ცალკე მხარეების მთლიანობა, თავისუფლება, როგორც
შინაგანი აუცილებლობა და სხვ.), მასშია „დიალექტიკის შესანიშნავი
ნიმუშები“ (ენგალსი).

თვით სპინოზა აღმად გრძნობდა წინააღმდეგობას სუბსტანციის
და მოდუსების დამოკიდებულებაში, რამდენად იგი „ეთიკის“ მეორე
ნაწილში კვლავ უბრუნდება ამ საკითხს. ასე, მაგალითად მე-45-
თეორემაში იგი შემდეგს სწრებს: „ყოველი იდეა სხეულის ან ცალკე-
ული საგნისა ნამდვილად (აქრუალურად) არსებულისა, შეიცავს ლერ-
თის მარადიულ დაუსრულებელ არსობას“ („ეთიკა“ გვ. 123). ცხა-
დია, რომ ამ დაუსრულებელ არსობას ცალკეული საგანი შეიძლება
შეიცავდეს მხოლოდ ნაწილობრივ, მაგრამ ეს დებულება მაინც ეწი-
ნააღმდეგება ზემოთმოყვანილ დებულების მოდუსების აბსოლუტურ-
დამოკიდებულების და გარეგნული განსაზღვრის შესახებ. ამ წინა-
აღმდეგობას გრძნობს სპინოზა და სცდილობს მის მოხსნას. მოყვანი-
ლი თეორემის სქოლიოში იგი სწრებს: „თუმცა ყოველი ცალკეული ნივ-
თი განისაზღურება არსებობისათვის მეორე ცალკეული ნიერით,
მაგრამ ამავე დროს ძალა, რომითაც თვითეული მათგანი განმტკი-
ცდება თავის არსებობაში, გამომდინარეობს ლერთის ბუნების მარადი-
ულ აუცილებლობისაგან“ („ეთიკა“ გვ. 124). ამ დებულებით სპინოზა-
ერთხელ კიდევ სცდილობს გასძოს სჩდი მოდუსებიდან სუბსტანციი-
საკენ და პირუკმოდ, მაგრამ აქ მაინც რჩება მეტაფიზიკური გარ-
დვევა, რომელიც მაშინათვე იჩენს თავს, როცა ჩვენ სპინოზას-
ფილოსოფიას მარქსისტული ანალიზით მიეუდებით. მოდუსები იმ-
ყოფებიან მოძრაობაში და ცვალებადობაში, სუბსტანცია უძრავი და
უცვლელია, მოდუსები არსებობენ დროში, სუბსტანცია დროის გა-
რეშე, რამდენად მარადიულობა ესმის სპინოზას არა როგორც და-
უსრულებელი ხანგრძელობა, არამედ როგორც გამორიცხვა ყოველ-
გვარი „როდის“, ან „უწინ“ ან „შემდგენ“ („ეთიკა“, 147). აქედან
სპინოზას წმინდა მეტაფიზიკური დებულება (გარეკეულად გამოთ-
ქმული ჩირნჭაუჭენის მიმართ ერთ-ერთ წერილში), რომ სამყარო-
თავის მთლიან ფორმაში უცვლელი და უძრავია იმ დროს, როცა
ცალკეული ნივთები განიცდიან დაუსრულებელ ცვალებადობას.

მოყვანილი დებულება დამიასიათებელია ყოველგვარი მეტა-
ფიზიკის: უცვლელი არსების ალიარება ცვალებად მოელენებთან. მა-
გრამ ამ საკითხშიც სპინოზას ახასიათებს გარკვეული თავისებურება
და ამიტომ საჭიროა შევჩერდეთ იმაზე, თუ როგორ ესმის სპინოზას
მოყვანილი დებულება სუბსტანციის უცვლელობასა და მოდუსების
ცვალებადობის შესახებ. ამისათვის საჭიროა შევჩერდეთ სხეულის
მოდუსის ცნებაზე.

სხეულები წარმოადგენენ განთენილების მოდუსებს. როგორც

მოდუსები, ისინი წარმოადგენენ ცალ-ცალკე, გაყოფილად არსებ
ბულს. ასე ევლინება ისინი შეგრძნებას. მაგრამ გონება აღმოაჩინა
მათში ზოგადობას. „ყველა სხეულებს აქეს ურთიერთ შორიში და გადა
დაც საერთო“ („ეთიკა“, გვ. 83). რით განსხვავდებან ისინი ერთი
მეორისაგან? „სხეულები განსხვავდებიან ერთი მეორისაგან თავიანთი
მოძრაობით... და არა სუბტანტიალობითი“ (იქვე). აქ ვინმე მოდერ-
ნისტს შეუძლია გამოაცხადოს სპინოზა დიალექტიკოსად, რამდენად
უკანასკნელი ნიერთებს მოძრაობის მიხედვათ ანსხვავებს. მაგრამ, რო-
გორც იყო აღნიშნული, სუბსტანტია როგორც ზოგადი, მეტაფიზი-
კურად გაეთიშა თავის მოდუსებს, ვინაიდან ცალკეული ნივთი აბსო-
ლუტურად მოკლებულია დამოუკიდებლობას და იგი მხოლოდ გა-
რეგნულად ეზიარება მთელს, სუბსტანტიას. მეორეს მხრით მოძრაობა
სპინოზას ესმის წმინდა მექანიკურად: „მოძრავი ანუ უძრავი სხეული
უნდა განისაზღვრებოდეს მოძრაობისთვის ანუ უძრაობისთვის, მეო-
რე სხეულით, რომელიც თავის მხრით განსაზღლულია მოძრაობისაკენ
ან უძრაობისკენ მესამე სხეულით.. და ასე დაუსრულებლად“ („ეთი-
კა“, გვ. 83).

ამავე დროს, რაც მთავარია, თვით მოძრაობა არა სუბსტან-
ტიალურია, რამდენად უკანასკნელი უძრავია, არამედ მხოლოდ
აკცინდენტური. ამ საკითხში სპინოზას არ ახასიათებს საბოლოო
გარკვეულობა და რომ ეს ასეა, ვნახავთ შემდევილან: ზემოდმოვა-
ნილი დებულება მექანიკური მოძრაობის შესახებ უმარტივეს სხეუ-
ლებს ეხება. „ყველაფერი ზემოდ თქმული ახასიათებს მხოლოდ უმა-
რტივეს სხეულებს, სახელდობრ სხეულებს; რომელნიც ერთი მეორი-
საგან განსხვავდებიან მოძრაობით და უძრაობით“ (იქვე, გვ. 85).
სწორედ აქ ემჩნევა, რომ სპინოზას არ დაუმდევია ატომიზმი, მიუ-
ხედავად ცარიელი სივრცის უარყოფისა, და მასზე დაყრდნობილ
სუბსტანტიის გაყოფის უარყოფისა. ეს გასაგებიცაა, რამდენად თვით
ეპოქა და მაშინდელი მეცნიერების მდგომარეობა არ იძლეოდა მისი
დაძლევის შესაძლებლობას. ატომიზმი ახასიათებდა არა მარტო შა-
ტერიალიზმს, არამედ იდეალიზმსაც. მაგ ლაიბნიცის მონადოლოგია
წარმოადგენს იდეალისტურად გადაბრუნებულ ატომიზმს.

ამ შემთხვევაში ატომიზმის დაძლევას სცდილობს სპინოზა რთუ-
ლი ინდივიდუულის ცნების მეოხებით, მაგრამ ეს ცდა ვერ გამოას-
ლდებოდა, თუმცა ამ მიმართულებით სპინოზამ მთელი რიგი საინტერე-
სო აზრები მოგვცა. საბოლოოდ სირთულე და ინდივიდუალობა, მე-
ქანიზმის, აგრეგატის ცნებას არ სცილდება. მაგალ. როგორ განმარ-
ტავს სპინოზა ინდივიდუუმს? „თუ ამოდენიმე სხეული ერთნაირ ან
განსხვავდებულ სიდიდისა შევიწროებულნი არიან სხვა სხეულების მიერ
ურთიერთ შეხებამდე, ან და თუ ისინი ერთნაირ ან სხვადასხვანაირ სი-



სწრაფით მოძრაობები ისე, რომ გარკვეული სახით აძლევენ ერთი მე-
ორებს თავიანთ მოძრაობას — მაშინ ჩვენ ვიტყვით, რომ ასეთი სხეული
ლები შეერთებული არიან ერთი მეურესთან და ყველა ერთად შეა-
დგენენ ერთ სხეულს ან და ინდივიდუუმს, რომელიც განსხვავდება
სხვებისაგან ამ სხეულთა კავშირით” („ეთიკა”, 86).

რით განსხვავდება ასეთი ინდივიდუუმი უმარტივესი სხეულთა-
ვან? იმით, რომ თუ უკანასკნელში მოძრაობა შთლიანად შეცვლას
(რა თქმა უნდა მექანიკურ შეცვლას) ნიშნავს, პირველში შეიძლება
იყოს მოძრაობა და ცვალებადობა მისი შთლიანად უცვლელობის ხა-
ფუძველზე და ეს უნარი მით უფრო მეტია. რაც უფრო რთულია
ინდივიდუუმი. განსაკუთრებულ ინტერესის გამო მე უნდა მოვიყვანო აქ
ერთი მეტად გრძელი ციტატა: „აღნი შნული ზან ჩვენ ვხდეთ, თუ
რა სახით შეუძლია რთულ ინდივიდუუმს განიცადოს სხეადასხვაგვარი
მდგომარეობა ამავე დროს თავისი ბუნების შენარჩუნებით. ამასთან
აქმდე ჩვენ ვიღებდით ინდივიდუუმს, შემდგარს ისეთის სხეულე-
ბისაგან, რომელიც ერთი მეორისებან განსხვავდებიან მხოლოდ თავი-
ანთი მოძრაობით და უძრაობით, სიჩქარით და სინელით, ე. ი. ინდი-
ვიდუუმს შემდგარს უმარტივესი სხეულებისაგან. თუ ახლა ავიღებთ
ჩვენ სხვა ინდივიდუუმს, რომელიც შესდგება რამოდენიმე სხეადასხვა
ბუნების ინდივიდუუმებისაგან, მაშინ დავინახავთ, რომ მას შეუძლია
განიცადოს კიდევ სხვა მრავალი მდგომარეობა თავისი ფორმის შე-
ნარჩუნებით, ვინაიდან თითეულ მის ნაწილს, შემდგარს მრავალ სხე-
ულისაგან, შეუძლიან თავისი ბუნების შეუცვლელად იმოძრაოს უფრო
სწრაფად და უფრო ნელად და მაშასადამე, გადასცეს თავისი მოძრა-
ობა სხვა ნაწილებს ხან უფრო სწრაფად და ხანაც უფრო ნელად.
და თუ განვაგრძნობთ ასე დაუსრულებლად ჩვენ ადვიოდ გავიგებთ,
რომ მთელი ბუნება წარმოადგენს ერთ ინდივიდუუმს, რომლის ნა-
წილები . . . დაუსრულებლივ იცვლებიან მრავალი სახით თეოთ
მთელი ინდივიდუუმის ყოველგვარი ცვალებადობის გარეშე” („ეთიკა”,
87—88).

აქედან სჩანს, თუ როგორ ესმოდა სპინოზას უცვლელი სუბ-
სტანცია ცვალებად მოდუსებში, თუ როგორ იჭრება მის სუბსტან-
ციაში შინაგანი განსხვავების. მომენტები და როგორ იჭრება მასში
აკრეთვე მოძრაობა, მაგრამ ეს მომენტი შემდგომ არ განავითარა,
უკეთ, ვერ განავითარა სპანიაში (თუმცა მიწერმოწერაში იგი მრა-
ვალგზით უბრუნდება მოძრაობის საკითხს და მის შესახებ მეტად
ღრმა აზრებს გამოსთვამს) თორემ საბოლოოდ არ მივიღებდით მე-
ტაზიაკურ, უძრავ და უცვლელ სუბსტანციას, რომელსაც ადგილი
აქვს სპინოზას ფილოსოფიურ სისტემაში.

სანამ გადავიდოდე შემეცნების პრობლემაზე, მოკლედ მინდა

შევჩერდე სულისა და სხეულის დამოკიდებულებაზე და ე. წ. პილო-
ზოიშის საკითხები სპინოზას მოძღვრებაში.

ვარა ცუდია

მისი გამოყენება

✓ პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ აღამიანი სპინოზას
ზოგლით ცალკეული საგანია, მოდუსი, და ამდენად ბუნების ნაწი-
ლი. იგი სუბსტანციაობას მოქლებულია, „აზამიანის არსებას არ
ახასიათებს სუბსტანციალობა“ („ეთიკა“, გვ. 76) და ის შესდგება
ორი ატრიბუტის — აზროვნების და განვენილების — მოდუსებისაგან;
სული ანუ აზროვნების მოდუსი არსებითად დამოკიდებულია თავის
სხეულისაგან, ვინაიდან მისი მაგისტრული ყოველთვის განსაზღვრუ-
ლია ობიექტიური სხეულების მდგომარეობით. „სული შეიცნობს თა-
ვისთავს მხოლოდ იმდენად, რამდენად იგი ითვისებს სხეულის
მდგომარეობის იდეებს („ეთიკა“, გვ. 99). ეს საკითხი უფრო ნათლად
ირკვევა საყოველთაო განსხვლოვანების საკითხთან დაკავშირებით.

II ცალკეული საგნები სპინოზას წარვალაში არ დაიყვანება მხო-
ლოდ განვენილების მოდიფიკაციამდის ისე, როგორც სუბსტანცია
არ დაიყვანება მხოლოდ განვენილებამდის. აღამიანში როგორც იყო
აღნიშნული, რეალურ მთლიანობაში მოცემულია აზროვნების და
განვენილების მოდუსები. რამდენად ცალკეული საგნები ურთიერთი-
საგან განსხვავდებიან, მათი განსხვავება დამყარებული უნდა ყოფი-
ლიყო არა მარტო ერთი და იმავე ატრიბუტების სხვადასხვა
მოდიფიკაციებზე, არამედ სხვადასხვა ატრიბუტების მოდიფიკაციებ-
ზე. მაგრამ სპინოზას მოძღვრებაში არსებითდა ყველა მისაწვდომი
საგნები შესდგებიან ორი ატრიბუტის — აზროვნების და განვენილე-
ბის მოდუსებისაგან. ამ საკითხში სამართლიანად ხედავენ სპინოზას
წარვალაში წინაგან წინააღმდეგობას, მაგრამ რამდენად არ იცნობენ
ამ წინააღმდეგობის ხასიათს, მის საფუძველს — იძლევიან კიდევ უფრო
ცუდ გამოსავალს ამ წინააღმდეგობისაგან (მაგილითად, თითქოს სპი-
ნოზა გამოდიოდა აზროვნების და განვენილობის გარდა სხვა ატრი-
ბუტების შეუცნობელობისაგან და საკითხი შემდეგ):

რით აიხსნება სინამდვიუმში ეს შინაგანი წინააღმდეგობა სპი-
ნოზას ფილოსოფიაში? დიალექტიური მატერიალიში, გვასწავ-
ლის, რომ ფილოსოფიური აზროვნების მდგომარეობა ღრმად დაკავ-
შირებულია ამა თუ იმ ეპოქის მეცნიერების განვითარების ზოგად
დონესთან — ორივე ერთად განსაზღვრულია საწარმოო ძალების გან-
ვითარებით. სპინოზას ეპოქა (მე-17 საუკუნე) მეცნიერებათა განვი-
თარების მეტად დაბალი დონით ხასიათდება, თუმცა სწო-
რედ ამ ეპოქაში დაიწყო მეცნიერებათა ჩქარი განვითარება. მხო-
ლოდ ე. წ. მეტაფიზიკური ფსიქოლოგია (მეცნიერული ფსიქოლო-
გია შეუძლებელია ბიოლოგიურ მეცნიერებათა განვითარების გარეშე),
მექანიკა და მათემატიკა — ე. ი. სულიერი პროცესების მეცაფიზიკა.

თავი დაგანებოთ თითქმის უცნობ მეცნიერულ ქიმიას და ბიოლო-
გიას, თვით ფიზიკის სხვა დარგებიც ძალიან სუსტად იყო განვითარებუ-
ლი, გარდა მექანიკისა. ცხადია ასეთ პირობებში სპინზას შეცდო-
მაოსულიყო მხოლოდ აზროვნების და განვენილების ატრიბუტების
მოდუსებიდან და არ შეეძლო გამოხატა სინამდვილის სხვა შხარე-
ები, ვინაიდან ისინი არ იყვნენ შეცნობილი.

არ დაიყვანა რა ნიერები მხოლოდ განვენილებაზე (როგორც
ამას ჰქონდა ადგილი, მაგალი. დეკარტესის, ჰობსის ნაწერებში და
სხ.), სპინზამ დაუშვა ყველა საგნებში აზროვნების მოდუსი, მა-
გრამ სპინზას აზრადაც არ მოსულია ყველა საგნებისათვის, მიეწე-
რა ადამიანური აზროვნება, აზროვნების ატრიბუტი სრულებით არ
დაიყვანება მის მოდუსზე—ადამიანის აზროვნებაზე. მას როგორც
ატრიბუტს, შეუძლია სხვადასხვაგვარი მოდი ჰიკაცია. სწორედ ამი-
ტომ მე შემცდარად მიმაჩნია აზრი, თითქოს სპინზა იყოს ჩვეუ-
ლებრივი ჰილოზოდისტი.

მოუსმინოთ, თუ რას სწერს ამის შესახებ თვით სპინზა: „ყვე-
ლაფერს, რაც ჩვენ აქამდე აღნიშნეთ, ზოგადი მნიშვნელობა აქვს
და შეეხება ადამიანს არა უმტესს, ვიდრე სხვა ინდივიდუუმებს, რო-
მელნიც, თუმცა სხვადასხვა ხარისხით (3. შ. 1), მაგრამ მაინც სული-
ერნი არიან“ („ეთიკა“, გვ. 81). მე ხაზი გაუსვი სიტუებს „სხვადასხვა-
ხარისხში“, რაც სათანადოთ ხსნის მოძღვრების შინაარს, მაგრამ აღ-
სანიშნავია ის, რომ განსულოვნების ხარისხი დამოკიდებულია სხეუ-
ლებრივ ორგანიზაციის სირთულისაგან“; იდები განსხვავდებიან ერ-
თ მეორისაგან, როგორც თვით ონიერები. ერთი იდეა შეიძლება
იყოს მეორე იდეაზე უფრო მაღალი და შეიცავდეს უფრო მეტ რე-
ალობას, ისე, როგორც ერთი იდეის ობიექტი შეიძლება იყოს უფ-
რო მაღალი მეორე იდეის ობიექტზე და შეიცავდეს მეტ რეალობას.
ამიტომ, იმის განმარტებისათვის, თუ რითა იგი სხვებზე უფრო მაღალი, ჩვენთვის
უცილებელია შევისწავლოთ, როგორც უკვე ვთქვით, ადამიანის
სხეულის ბუნება (3. შ.), (იქვე გვ. 81-82).

ამგვარად, როგორც მოყვანილი დებულებიდან ირკვევა, სული
არა მარტო დამოკიდებულია სხეულისაგან, არამედ იგი არის არსე-
ბითად სხეულის მდგომარეობა, ვინაიდან ის შეიცნობა მხოლოდ
სხეულის ორგანიზაციის მიხედვით და არა უშუალოდ, თვის თავიდ-
მართალია, აზროვნება, როგორც ატრიბუტი, შეიცნობა საქუთარი-
არსობის მეოხებით, მაგრამ ეს, როგორც ზემოდ დავინახეთ, შეეხება
მხოლოდ მის ფორმალურ არსებას ანდა უფრო მარტივად: აზროვნე-
ბის ფორმას. რეალურ საგნებში აზროვნების მოდუსი არამც თუ
დაკავშირებულია განვენილების მოდუსთან, ის განისაზღვრება უკა-

მე შედარებით ვრცლად შეკვერდა სუბსტანციის ატრიბუტის
და მოღუსის ცნებაზე სპინზას ფილოსოფიაში, მაგრამ ეს აუცილე-
ბელ საჭიროებას წარმოადგენს. რამდენად ეს განსაზღვრავს ყვე-
ლა მხარეებს სპინზას ფილოსოფიისა და კერძოდ შისი შემეცნების
თეორიის, რომელზედაც იხლა გადავდინარ მოქლე ანალიზისათვის-

二〇

ამხანაგებო, შეიძლება ჩემი ყურადღება შემცნების თოროის საკითხის მიმართ დღევანდელ მოხსენებაში არ იყოს პროპორციული მის მნიშვნელობასთან, მაგრამ ეს აისხება იმით, რომ მოხსენება გა- გრძელდა და რამდენად მას უძლოდა წინ ვრცელი შესავალი სიტ- ტყვა, აუდიტორია უთუოდ დაიღლებოდა და ამიტომ მე ვალდე- ბული ვარ, რამდენად შესაძლებელია, შევაძლო მოხსენება.

თუ სუბძრანციის, ატრიბუტების და მოლუსების პრობლემა სპინზას სწავლაში მკაფიოდ დამუშავებულია, არ რჩება ადგილი ორაზროვნებას, და მიუხედავათ ამისა მაინც იშვევს გაუგებრობას, დავის და უთანასწორობას, კიდევ მეტი უთანხმოება და გაუგებრობა უნდა გამოეწვია შემეცნების პრობლემას, ვინაიდან შემეცნების საკითხი საბოლოოდ არ დაუმუშავებია სპინზას და სპეციალური შრომა „ტრაქტატი ინტელექტის გაწმენდის შესახებ დაუმოჟავრებელი დარჩება“.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ სპინოზას არ მოუკითხავთ შეხედულებანი შემეცნების თეორიის შესახებ, მაგრამ მისი აზრები ამის შესახებ არ არის ზუსტად დამუშავებული და სისტემატიურად დალაგიზული.

შემცირების პრობლემის გაშუქების დროს ჩვენ უნდა ვიხელ-
მძღვანელოთ არა მარტო აღნიშნული ტრაქტატით, არამედ სპინზას-
მოძღვრებით ყოფადობაზე მთლიანად, ე. ი. მისი ონტოლოგიით, ვი-
ნაიდან როგორც აღნიშნული იყო, სპინზას ონტოლოგია განსა-
ზღვრავს მის გნისეოლოგიას, შუროვ სწორად მის მეთოლოგიას.

ის გარღვევა, რომელსაც მე ხაზი გაუსვი ზემოდ ნაწილებსა და მთელს შორის, დასრულებულსა და დაუსრულებელს შორის, მოკლედ სუბსტანცია და მისი მოღუსებს შორის, მათი ურთიერთ გადასვლის და შინაგანი კავშირის დაუსაბუთობა თავს იჩენს; სპინზას მეთო-დოლოგიაში ზემეცნების პროცესს ცალკეულ მომზრტებს შორის

ვარღვევის სახით, მათ შორის შინაგან ქავშირის და გადასცლების დაუსაბუთებლობის სახით. სპინოზა ჩვეულებრივად ცნობილია, როგორც უკადურესი რაციონალისტი, რომელმაც მოგვცა ჭრშმარიტული კლისიკური რაციონალისტური კრიტერიუმი, მაგრამ მე შევეცდები დავამტკიცო, რომ სპინოზას რაციონალიზმი არსებითად განსხვავდება დეკარტესის და ლეიბნიცის რაციონალიზმისაგან და მას ძეგლს უკვე-ლად მატერიალისტური შინაარსი.

ძირითადი პრობლემა მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, რომელიც ერთნაირად იდგა როგორც რაციონალიზმის, ისე ემპირიზმის წინაშე, მდგომარეობდა ცნების ბუნების გარკვევაში. მაგრამ მისი ნამდვილი გადაჭრა შეუძლებელი იყო, როგორც პირველის, ისე უკანასკნელის საფუძველზე, ვინაიდან ორივე მეტაფიზიკას ყურდნობოდა და ისტორიზმს უარყოფდა. მაშასდამე, ორივე ცდილობდა მხოლოდ ლოგიკურად გამოეყვანა ცნების შინაარსი, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ლოგიური ისტორიულის შედეგია და მხოლოდ ისტორიულად შეიძლება ლოგიკის დასაბუთება.

რაციონალისტები პირდაპირ გამოდიოდნენ ცნების მოცემულობიდან და არც კი სვამდენ საკითხს მისი წარმოშობის შესახებ. იმდენად ყოველ რაციონალიზმს არსებითად საფუძვლად უდევს ინტუიცია, აქსიომატიკა. ემპირიკულები კი სვამდენ საკითხს ცნების წარმოშობის შესახებ, მაგრამ ამდენად გამოდიოდნენ მეტაფიზიკურ ანთისტორიულ თვალსაზრისიდან, წარმოშობის საკითხს სკვლიდნენ ლოგიკური (უკეთ ფაიქთლოვანური) შექმნის საკითხით, სწორედ ამიტომ მათ ერთი მეორეში აურიეს ცნება და წარმადგენს, პირველი დაყვანეს მეორეზე.

ამით აისხნება ის გარემოება, რომ შემცენების მეთოდი, როგორც რაციონალიზმი, ისე ემპირიზმი ერთი და იგივე მეტაფიზიკური და ფორმალურ ლოგიური იყო, მიუხედავად მათი განსხვავებისა შემცენების წყაროს საკითხში.

რომ სწორეთ ცნების პრობლემა იყო ძირითადი, სჩანს თვით სპინოზას დამოკიდებულებიდან ზოგად აბსტრაქტულ ცნების მიმართ. სპინოზას ვერ აქმაყოფილებს ზოგადი ცნების ფორმალური ლოგიური კონსტრუქცია, რომელიც მიიღება კონკრეტ-ანდივიდუალობისაგან. ის აცხადებს, რომ ეს არის დაბალი გვარი შემცენებისა, ვინაიდან განცენების პროცესში ე.წ. ძირითადი, არსებითი მომენტების ფიქსაცია შემთხვევითია და დამოკიდებელია იმისაგან, თუ ვინ განსაკუთრებით რომელ მომენტს აქცევს ყურადღებას. ამიტომ ასეთი გზით მიღებული ცნება ყოველთვის ბუნდოვანია. „ის ყველაფერს შეიცნობს ნაწილობრივ, მაგრამ არაფერს არსებითად“. ასეთი ცნების შექმნის საფუძველი მდგომარეობს აღამიანის გრძნობის შე-

ზღუდულ ბუნებაში. ეს ცნებები წარმოიშობიან იმის გამო ადამიანის სხეულში წარმოიშობიან იმდენი სახეები, მაგალ. ტრაქტორის ნების, რომ თუ ისინი სრულებით არ სპარბობენ ზეგნების უნარს, ყოველ შემთხვევაში სპარბობენ იმდენად, რომ უმნიშვნელო თავისებურებანი (სახელდობრ: ფრი, სიდიდე და სხვა) და მათი გარკვეული რიცხვი სულს არ შეუძლია წარმოიდგინოს და წარმოიდგენს გარკვეულად მხოლოდ მას, რაში ყველა ისინი, რამდენად სხეული განიცდის მათ მიერ ზეგავლენას ერთმანეთს ემთხვევიან, ვინაიდან ამ მხრით სხეული ყველაზე უფრო განიცდის გავლენას, სახელდობრ ყველა კერძო იდამიანისაგან. სწორედ ამას გამოხატავს სული სიტყვით ადამიანი და ამტკიცებს მას დაუსრულებლად ბევრ ცალკეულ ადამიანებზე, ვინაიდან წარმოიდგინოს გარკვეული რაოდენობა ცალკე ადამიანებისა სულს, როგორც აღვნიშნეთ, არ შეუძლია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცნებები ყველას მიერ ერთხაირად არ იქნება, არამედ ყველას მიერ სხვადასხვანაირად იმის დამიხედვით, თუ რომელ მხრივ ყველაზე უფრო ხშირად განიცდია სხეული ზეგავლენას და რასაც მისი სული უფრო ადვილათ შეიგრძნონ და დაიმისხოვონ გვებს. . . , ამიტომ მე ვეწოდებ ასეთ შემეცნებას მოუშესრიგებელ ცდის ხაშუალებით შემცნებას" ("ეთიკა" — 116—117).

ნაა თუ არა სპინზამ სხვა, უფრო სწორი გზა კეშმარიტი იდეების შექმნისა, რომელიც გამოხატავენ ზოგადს არა მარტო აგრეგატულად, არამედ აჩახებითად? არა, ამას ის ვერ შეძლებდა, ვინაიდან ის იყო მეთადაზისი და გამორიცხავდა ცნების შექმნის ისტორიულ პროცესს, რამდენად როგორც აღნიშნული იყო ისტორიულის გარეშე შეუძლებელია ლოგიურის სწორი გაება. სპინზამ არსებითად გვერდი აუარა ცნების ლოგიურ წარმოშობის გზასაც, და დაუბრუნდა ინტუიციას, მართალია, დეკარტეს ინტუიციისაგან ძირითადად განსხვავებულს.

სპინზა ჩამოთვლის ძირითადად სამგვარ შემეცნებას ("ტრაქტატი" — ში ჩამოთვლის ოთხგარ შემეცნებას — მაგრამ რამდენად იქაც პირველი ორი გვარი შეადგენს იმავინატიურს — არსებითად გვაქვს სამი). იმაუინატიური შემეცნება, 2. რაციონალური შემეცნება, 3. ინტუიტური შემეცნება. იმაუინატიური შემეცნება არის შეგრძნებითი, მაგრამ უკანასკნელი შეიცავს არა მარტო უშუალო შთაბეჭდილებას, ანუ შეგრძნებას, არამედ ყველა შეგრძნობითი ხასიათის ცნებასაც (იხ. "ეთიკა", გვ. 116—117 და „Трактат об очищении интеллекта“ — 72—73). მაგრამ რამდენად, როგორც უკვე აღნიშნული იყო შეგრძნებითი ცდა შემთხვევითი არის (experimentia vaga) და არ არის ორგანიზებული ინტელექტის კანონებით — იმაუინატიური შემეცნება არ მიეკუთნება კეშმარიტ შემეცნებას.

რაციონალური შემეცნება კი იძლევა ოდეკვატ (ჭეშმარიტ) იდეა-
ტს (იხ. „ეთიკა“—117) და ამდენად მიეკუთვნება ჭეშმარიტ შემეცნე-
ბას. მაგრამ ამ შემთხვევაში რითი უნდა განსხვავდებოდეს ინტუი-
ტური შემეცნება რაციონალურ შემეცნებისაგან, რამდენადაც, ორივე
ჭეშმარიტია? საქმე იმაშია, რომ რაციონალური შემეცნება იძლევა
ადეკვატ იდეებს მხოლოდ ნივთების თვისებების შესახებ ინტუიტი-
ური კი— ადეკვატ იდეებს ნივთების არსებაზე მთლიანად („ეთიკა“,
83. 117. „Traktat ob очищении интеллекта“. 73—74).

ახლა ისმის კითხვა, არის თუ არა რაიმე შინაგანი კავშირი
რა გადასვლა შემეცნების აღნიშნულ გვარებს შორის? სხვაგვარად
რაოდ ვთქვათ, წარმოადგენენ თუ არა აღნიშნული გვარები შემეცნე-
ბისა, ერთი მთლიანი შემეცნების პროცესის მთმენტებს, თუ ისინი
გამორიცხავენ ერთი მეორეს? „ტრაქტატში“ მთლიანად გამორიცხუ-
ლია იმაუინატიური შემეცნება (იხ. გვ. 80), მაგრამ არის ამასთან
აღიარებული შესაძლებლობა რაციონალურიდან ინტუიტიურზე გადას-
ვლისა. ამ უკანასკნელზე, „ეთიკაში“ ნათქვამია უფრო გარკვეულად
„ამგვარ შემეცნებას (ე. ი. ინტუიტიურს 3. შ.) მივყევართ ჩვენ ლმერ-
თის რომელიმე ატრიბუტის ფორმალური არსების ადეკვატ იდეებისა-
გან (ე. ი. რაციონალურ შემეცნებისაგან 3. შ.) ყველა ნივთების
არსების ადეკვატ შემეცნებისაკენ“ (გვ. 117), მაგრამ როგორ სჭრის
„ეთიკა“—უეპელად უფრო მწიფე და სისტემატიური ნაწარმოები,
ვიდრე „ტრაქტატში“—იმაუინატიურ და რაციონალურ შემეცნების
ურთიერთ კავშირის საკითხს? აღსანიშნავია, რომ აქ მთლიანად არ
არის უარყოფილი მათ შორის კავშირი. ბუ-დოვანი (emutnōe) იმავა-
ნატიური დღეა არ ნიშნავს შემეცნების აბსოლუტურ უქონლობას,
არამედ მხოლოდ, მის ნაკლებობას. „სიცრუე არ შეიძლება მდგომა-
რეობის შემეცნების აბსოლუტურ ნაკლებობაში, ის არ შეიძლება
აგრეთვე მდგომარეობის აბსოლუტურ უკიცხვაში, ვინაიდან არ
ცოდნა და შეცდომა ორი სრულებით განსხვავებული“ ნივთებით. მა-
შასადამე, სიცრუე მდგომარეობს შემეცნების ნაკლებობაში, რაიცა
ნივთების არა ადეკვატ შემეცნებასა ნიშნავს, ე. ი. არა ადეკვატ და
ბუნდოვან იდეებში“ („ეთიკა“, გვ. 109). გარდა ამისა ჩვენ ვიცით
აგრეთვე, რომ შეკრძნებითი შემეცნება: შეეხება მოდუსებს, როგორც
ცალცალკე არსებულებს. იმიტომ რამდენად „ეთიკაში“ სპინოზა
ცდილობს დამყაროს უშეალო კავშირი მოდუსებსა და სუბსტანციის
შორის, იმდენად იგი სცდილობს მათ შორის შემეცნებითი კავშირიც
დაამყაროს. ადამიანის სულს იქვე იდეები, რომლებისაგანაც ის შე-
იცნობს თავისი თავს, თავისი სხეულს, გარეშე სხეულებს. მაშასადა-
მე, მას აქვს ადეკვატი შემეცნება ლმერთის მარადიულ, დაუსრულებე-
ლი არსების შესახებ. („ეთიკა“—125).



როგორც ხედავთ, სავანთა არსობის მთლიანად, ე. ი. ინტელექტუალური მურად შემეცნება აქ პირდაპირ გამომდინარეობს შემეცნების სხვა ფორმებისაგან, მათ შორის იმაუინაციურ შემეცნებისაგან.

მაგრამ მიუხედავთ ისეთი ცდებისა, სპინოზას მიინც დარჩა გარღვევა შემეცნების ცალკეული მოქმედებისა, რაც აუცილებელი იყო მეტაფიზიკური მეთოლოგიის გამო — რაშიც ჩენ დავრწმუნდით სუბსტანციის პრობლემის განხილვის დროს, რამდენად იქაც ხახი გაუსვით გარღვევებს სუბსტანციის როგორც (Causa sui) გაუყოფელი მთლიანის, და მის მოდუსებს შორის.

შეგრძნება ეხება მოდუსებს, გონება მთელს სუბსტანციას, შეგრძნებასა და გონებას შორის უარ ყოფილია ურთიერთი გადასვლა, შინაგანი კავშირი. ერთი ადგილი „ეთიკიდან“ სავსებით დაგვარწმუნებს ამაში. „თუ ჩენ განვიხილავთ სიღიღეს ისე, როგორც იგი არსებობს შეგრძნებაში, მაშინ ჩენ ეხედავთ მას დასრულებულად, რომელიც იყოფა და შესდგება ნაწილებისაგან. თუ კი ჩენ განვიხილავთ მას, როგორც ის არსებობს გონებაში და წარმოვიდგენთ მას, როგორც სუბსტანციას.... ის გვევლინება ჩენ დაუსრულებლად, ერთიანად და გაუყოფელად“ (გვ. 24). მაშისადამე, შეგრძნება, განსჯისა (racceydon) და გონებას შორის ისეთივე გარღვევები უნდა ყოფილიყო სპინოზას სწავლაში, როგორიც არის მოდუსების იტრიბუტებსა და სუბსტანციას შორის. ამავე დროს ჩენ ეხედავთ, რომ სპინოზას ინტუიციას არა აქვთ არავითარი მისტიური, რელიგიური ხასიათი, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობენ ზოგიერთები.

სწორედ ზემოდალნიშნული ცდა შემეცნების ცალკეული მომენტების გაერთიანებისა ანსხვავებს მეთოდის მხრივ სპინოზას რაციონალიზმს დეკარტეს რაციონალიზმისაგან, რამდენად უკანასკნელი უარყოფდა შემეცნების შეგრძნებითი ელემენტებს მთლიანად, სწორედ ეს გარემოება განსაზღვრავს სპინოზას ინტუიციის განსხვავებას დეკარტეს ინტუიციისაგან.

მაგრამ ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ სპინოზას და დეკარტეს რაციონალიზმის განსხვავება არ გამოიიცხავს მათ შორის ზოველგვარ მხევაცებას, როგორც ეს ზოგიერთებს ჰქონიათ. მართლია, დეკარტეს გამოდიოდა თანდაყოლილი იდეებიდან, მაგრამ ასეთი უნდა იყოს ყოველგვარი ინტუიცია, რამდენად ის. არის აღმდეგული ყოველგვარი ისტორიულობის გარეშე განა თვით სპინოზას არ ახასიათებს ეს ცოდვა? „ჩენში უნდა იყოს უპირველეს ყოვლისა, ჭრიარიტი იდეა, როგორც ერთნაირი თანამყოლილი (3. 3) იარაღი“ (Трактат об очищении интеллекта”, გვ. 91). დეკარტეს ფილოსოფიაში შემეცნების პირველი ნაბიჯი მღვმარეობს ინტუიციების ბუნდოვან იდეებთან არევისაგან გაშენდაში. სპინოზასაც სწორეთ ეს მიაჩნია შემეცნების პირველ საფეხურად. „დავიწ-

ყოთ მეთოდის პირველი ნაწილიდან, ომელიც მდგომარეობს იმა-
ში, რომ განვისტვავთ და გამოვყოთ (ითელია) კეშმარიტი იღებდნ
სხვა პერცეპციებიდან და დავიცვათ (იგრаждათ) სული ცრუ პერცეპციები
ციცქას კეშმარიტ პერცეპციებთან აღრევისაგან» (იქვე გვ. 99).

მაში, სად უნდა ვეძიოთ განსხვავება დეკარტესა და სპინოზას-
რაციონალიზმს შორის? ეს განსხვავება მიღის შემდეგი მიმართულე-
ბით: 1. თანდაყოლილობას დეკარტესის სწავლაში სულ სხვა ში-
ნაარსი აქვს, ვიდრე სპინოზას ნაწერებში, რამდენად დეკარტესი აზ-
რის და არსის დუალიზმისაგან გამოდის, ე. ი. თანდაყოლილობა
მასთან ნიშნავს კეშმარიტების აპროორულ მოცემულობას, როგორც
ფორმით, იხე შინაარსითაც — სხვანაირად დეკარტეს ვერც კი და-
ასაბუთებდა ობიექტიურ შემეცნებას, რამდენად დუალიზმი გამორიც-
ხავს აზრისა და არსის შორის უშუალო ურთიერთობას.

სპინოზას მოძლევებაში თანდაყოლილობა ნიშნავს არსებითად კეშ-
მარიტების აპოსტერიორობას მისი შინაარსის მხრივ, ვანაიდან,
როგორც უკვე აღნიშნული იყო, სულს არ გააჩნია არავითარი სხვა
იდეები, გარდა ობიექტიური, სხეულების მდგომარეობისა, რომელ-
საც ის (სული) ღებულობს თავისი სხეულისაგან. „რამდენად ადამია-
ნის სხეული განიცდის ზეგავლენას რომელიმე გარეშე სხეულისაგან,
იმდენად იგიც (სული პ. შ.) შეიგრძნობს ამ გარეშე სხეულს“ („ეთი-
კა“ გვ. 102) ანდა „რასაც ჩვენ ვერ შევიგრძნობთ, იმას ვერ მივაღ-
წევთ ვერავითარ აზროვნებაში“ („ეთიკა“ გვ. 134).

მაშიასადამე, სპინოზას სწავლაში აპროორულია მხოლოდ ფორ-
მა იდეებისა და არა მისი შინაარსი, ვინაიდან ყოველი იდეა არის
სხეულის გამოხატულება. „სული შეიცნობს თავის თავს მხოლოდ იმ-
დენად, რამდენად იგი სხეულის მდგომარეობის იდეებს ღებულობს“
(„ეთიკა“ — 99), ე. ი. სული შეიცნობს თავისი თავს მხოლოდ თავისი
შინაარსის საშუალებით — თვითონ ის კი, ამ შინაარსის ფორმაა.

ამგვარად, სპინოზას შემეცნების ოეორია წმინდა ზატერიალის-
ტურია (თუმცა, რა თქმა უნდა არა დიალექტური). აი, სწორედ ეს
განსაზღვრავს დეკარტესა და სპინოზას რაციონალიზმს უკვე მათი
შინაარსითაც. აღიარო რა იდეათი თანდაყოლილობა არა მარტო
ფორმით, არამედ შინაარსითაც, დეკარტემ უნდა უარყოს ყოველ-
გვარი სხვა გზა შემეცნებისა, გარდა წმინდა ლოგიკური ოპერაციე-
ბისა გამოსავალ ინტუიციებზე. სპინოზამ უნდა დაუშევს ჩაღაც გზა
ინტუიციისაკენ, მაგრამ მეტაფიზიკამ ვერ მისცა საშუალება ამ გზის
სწორად გამოხახვისა და მისი დასაბუთებისა. მე აქ მოვიყვან მეტად
საინტერესო ადგილს „ტრაქტატიდან“, საღაც სპინოზა გამოხატავს,
ნამდეილ სინთენტიურ მოთხოვნილებას (და არა, დეკარტეს ცრუ,
„სინთეზს“, რომელიც მდგომარეობს მათემატიკურ დელუქციაში) შე-



მეცნების მოძრაობისა: „ისე, როგორც ადამიანებმა დასაწყისში უკუნილეთი ნებრივი თანდაყოლილ იარაღების საშუალებით შექმნეს რაღაცა ძალიან აღვილი, თუმცა დიდი შრომით და არა სრულმძნილად და შეასრულეს თუ არა ეს — შეასრულეს შემდეგ უფრო რთული, უკეთ შრომის ნაკლები დახარჯვით და უფრო სრულმძნილად და ასე თანდათანობით უფრო პრიმიტიული შემოქმედებიდან შრომის იარაღებზე გადასცლით... სწორედ ისე ინტელექტუალი მისთვის თანდაყოლილი ძალის საშუალებით ქმნის ინტელექტუალურ იარაღებს, რომელთა საშუალებით დებულობს ახალ და ახალ ძალებს ახალ ინტელექტუალურ შემოქმედებისათვის“ („ტრაქტატ“, გვ. 82-83). აქედან აშეარად სჩანს, რომ თანდაყოლილობა სპინოზას მიაჩნდა არა კეშმარიტი ცოდნის შინაარსეულ თანდაყოლილობად, არამედ უნარის, ძალის თანდაყოლილობად, ე. ი. კეშმარიტი იდეების შექმნის და მათი ცრუ იდეებისაგან გარჩევის უნარის და ძალის. აქედან გამომდინარე შემეცნების მოძრაობა არ შეიძლება მდგომარეობდეს მხოლოდ ფორმალურ კომბინაციებში, არამედ ის უნდა მდგომარეობდეს თვით შემეცნების თანდათანობით უფრო სრულმძნაში და მის გართულებაში შინაარსით, ხოლო გამარტივებაში ფორმის, ხერხის, მიხედვით.

ამიტომ ცნობილი რაციონალისტური განმარტება კეშმარიტებისა: „კეშმარიტება საზომია, როგორც თავის თვევისა, ისე შეცდომის“ („ეთიკა“, გვ. 120), კარგავს ყოველგვარ იდეალისტურ ხასიათს, ვინაიდან სპინოზას კეშმარიტების უშუალო სიცხადე სრულებით არ გამორიცხავს მის ობიექტიურ კრიტერიუმს, რომელსაც გარკვეულად და პრინციპიალურად გაუსვა ხაზი სპინოზაში ჯერ კიდევ „ეთიკის“ დასაწყისში, აქსიომის სახით: „კეშმარიტი იდეალდა ეთანხმებოდეს თავის ობიექტს“ (მეექვსე აქსიომა „ეთიკის“ პირველი ნაწილისა, გვ. 3.) და განიმეორა „ეთიკის“ მეორე ნაწილშიც, მე-4 განმარტებაში, სადაც იგე კეშმარიტების შინაგან ნიშნებს მისი თბილექტიური ნიშნებისაგან ანსხვავებს, ე. ი. ობიექტისაგან დამოკიდებლად შეიძლება დამყარებული იქნას კეშმარიტების მხოლოდ შინაგანი—ნიშანი სიცხადე. ეს იქიდანაც ცხადია, რომ სპინოზა არ აღიარებდა კეშმარიტებას როგორც შინაარსით თანდაყოლილს.

16

17

+

ამგვარიდ, საბოლოოდ ირკვევა სპინოზას შემეცნების თეორიის მატერიალისტური ხასიათი, მაგრამ მეტაფიზიკურმა მეოთხმა გამოიწვია გარღვევები შეგრძნებისა, განსჯასა და გონებას შორის ისე, როგორც ეს დავინახეთ მოდუსებსა, ატრიბუტებსა და სუბსტანციას შორის.

* * *

ახლა, ამხანაგებო, რამოდენიმე სიტყვით შეექცები კანონზომიერების პრობლემას. საინტერესოა ის გარემოება, რომ როცა ლაპარაკია მთელზე, მაშინ, როგორც ენგელსი აღნიშნავდა, სბინოზა „დიალექტიკის ბრწყინვალე ნიმუშებს იძლევა“. ერთ-ერთი ასეთი ბრწყინვალე ნიმუში დიალექტიკისა მდგომარეობს იმაში, რომ სპინოზამ სუბსტანცია გაიგო როგორც *Causa sui* და თავისუფლება გაიგო მასში, როგორც შინაგანი აუცილებლობა. „თავისუფლები ეწოდება ისეთ საგანს, რომელიც არსებობს მხოლოდ შინაგანი აუცილებლობის მიხედვით და თვითონ განსაზღვრავს თავის-თავს მოქმედებისაკენ“ („ეთიკა“, ნაწ. 1. თეორ. 7. გვ. 2).

აქედან უარყოფა ყოველგვარ მიზნებისა და აღიარება ბუნებაში მტკიცე წესრიგისა: „ლერთი მოქმედობს მხოლოდ და მხოლოდ თავის ბუნების კანონების მიხედვით“ (იქვე, გვ. 26) ანდა კიდევ: „ლერთს არ შეეძლო საგნების შექმნა რამე სხვა სახით ან სხვა წესრიგში, ვიდრე ისინი შექმნილი არიან“ (გვ. 45).

აქედან გამომდინარეობს უპირობო თავისუფლების უარყოფა, რაც სავსებით სწორია, მაგრამ აქ აუცილებლად იჩენს თავს სპინოზას მეტაფიზიკა. არ არსებობს შინაგანი კავშირი და საგნების ურთიერთში გადასცლა. „ყველაფერი რაც არსებობს, არსებობს ან თავის-თავად ან რამე სხვაში“ („ეთიკა“, აქვთომა 1. გვ. 3) ან შინაგანი ან გარეგნული აუცილებლობა. პირველი ახასიათებს მხოლოდ სუბსტანციას, მეორე მოდუსებს. აქედან აუცილებელია მიზეზობრიბის წმინდა მექანისტური გაგება: ყველა ცალკეულ, სხვანაირად, ყველა თავის არსებობაში განსაზღვრულ და დასრულებულ საგანს შეუძლია იარსებოს და იმოქმედოს მხოლოდ მაშინ, როცა იგი განსაზღვრულია არსებობისათვის და მოქმედობისათვის რომელიმე სხვა მიზეზით, თავის არსებობაში ისევე განსაზღვრულით და დასრულებულით. ეს მიზეზი თავის მხრივ... მესამე მიზეზით... და ასე დაუსრულებლივ („ეთიკა“, გვ. 38). ცხადია, რომ ასეთი მხოლოდ და მხოლოდ გარეგნული გაგება მიზეზობრიბისა ეწინააღმდეგება *Causa sui*-ს ცნებას, მაგრამ ეს წინააღმდეგობა ისევე აუცილებელია და ისეთივე ბუნებისაა, როგორც ზემოდ-აღნიშნული წინააღმდეგობანი.

იგივე გარეგნული გაგება მიზეზობრიბისა განსაზღვრავს შემთხვევითობის აბსოლუტური უარყოფას. „ბუნებაში არ არის არაფერი, შემთხვევითი და ყველაფერი განსაზღვრულია არსებობისა და მოქმედებისაკენ გარკვეულ... ბუნებრივი აუცილებლობით“ („ეთიკა“ გვ. 40).

მაგრამ ამავე საფუძვლებზე ეყრდნობა ნებას ყოფის ოაგასუფლების აბსოლუტური უარყოფა. სწორედ ამ საკითხში მოხდა ყვე-

ლაშე ჭურო მწვავე შეახება დეკარტესთან. საზოგადოდ, სპინოზი ეპოქაში ნებისყოფის თაფისუფლების პრობლემას მეტად დიდი და განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ფილოსოფიურ ისე, განსაკუთრებით, რელიგიურ თვალსაზრისით, ვინაიდან საბოლოოდ მისაგან იყო დამოკიდებული რელიგიის კარდინალური საკითხები ცოდვილიანობის და მიტევების და შენდობის საკითხი. ამიტომ გასაგებია ის განსაკუთრებითი ყურადღება, რომელიც მიინიჭა სპინოზამ ამ საკითხს.

ნებისყოფის თავისუფლების უარყოფას სპინოზა ეხება თავისი სისტემის ყველა ნაწილებში, ეხება თითქმის ყოველ წუთსა და წამს და მას ასაბუთებს სხვადასხვა ხერხებით და საბუთებით. ამიტომ საინტერესო იქნებოდა სპინოზას სწავლაში ამ პრობლემის სპეციალური გაშუქება, მაგრამ მე იძულებული ვარ ამ საკითხს ძალიან მოქლედ შევეხო.

სპინოზას „კარგად ესმის, რომ ნებისყოფის თავისუფლება ეყრდნობა განსაკუთრებით მისი სუბსტანციალობის, დამოკიდებლობის ოლიარებას. ამიტომ იგი უპირველესყოველისა უარყოფს ნებისყოფის სუბსტანციალობას და დაიყვანს ნებისყოფას საბოლოოდ, სულის ერთერთ მდგომარეობამდის. „სულში არა აქვს იდგილი არავითარ ნებისყოფითი მოვლენას... გარდა იმისა, რასაც შეიცავს იდეა, რამდენად ის არის იდეა“ („ეთიკა“, გვ. 128). აქედან ცხადია, რომ ნებისყოფა არ ვრცელდება გონების გადაღმა, როგორც ეს დეკარტეს ეგონა (იხ. „ეთიკა“, 129-130) და იგი ისევე განსაზღვრულია, როგორც ყოველივე დანარჩენი სულის მდგომარეობა და მას არ შეუძლია იმოქმედოს გრძნობის საწინააღმდეგოდ. „აღამიანები მხოლოდ იმ მიზეზით სთვლიან თავს თავისუფლად, რომ შეცნობილი აქვთ თავიანთი მოქმედება, მაგრამ არ იციან ის მიზეზები, რომელთაგან განსაზღვრულია ეს მოქმედება და, რომ სულის განსაზღვრანი მეტი არაფერია, თუ არ მისწრაფება, რომელიც სხადასხვანარია სხეულის სხვადასხვა მდგომარეობის მიხედვით (3. შ.) („ეთიკა“ გვ. 150). აქედან ირკვევა, რომ ნებისყოფის თავისუფლება ისეთივე ძლუზიაა, როგორიც ექნებოდა ქვას, რომელიც მიშერის აღამიანის მიერ გადმოსროლილი, მას რომ ცნობიერება ჰქონდა, ან და ბაეშს, რომელიც რძეს ეძებს, ანდა ლაჩარს, რომელიც საშიშროებას გაურბის (იხ. „ეთიკა“, 149).

ამასთან დაკავშირებით სპინოზა გამოსთქვამს აზრს გადაწყვეტილების (ნებისყოფის აქტის) და თბეიქვეტურ განსაზღვრის შესახებ. „სულის გადაწყვეტილება და სხეულის მისწრაფება და განსაზღვრულობა თავიანთი მუნებით შეთავსებული არიან ანუ უკეთ: ერთი და იგივე საგანია, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ გადაწყვეტილებას, როცა



ის განხილულია აზროვნების ქვეშ და განსაზღვრას, როცა იქაშემდებარება განვითარების ატრიბუტის ქვეშ“ („ეთიკა“, გვ. 150).

სპინოზას მოძღვრების მიზანის ცნებაზე მე ვრცლად ორ გავ-ჩერდები. ცხადია, მტკიცედ გატარებული მექანიკური დეტერმინიზმი იწვევს მიზანშეწონილების კატეგორიულ უარყოფას, როგორც ბუნებაში, ისე საზოგადოებაში (იხ. დამატება „ეთიკა“-ს I ნაწილზე, გვ. 53-54 და შემდ.).

შეტაფიზიკურ, აბსტრაქტულ-მონისტური სისტემის შექმნის ცდამ არ მისცა სპინოზას შესაძლებლობა გაეგო სინამდვილის სხვა-დასხვა სფეროების კანონზომიერების სპეციფიურობა და აქედან გა-მომდინარე მექანისტური დეტერმინიზმი იწვევს თავისუფლების და მიზანშეწონილების კატეგორიულ უარყოფას საზოგადოებაშიც. სა-დაც მათ აქვთ უკველად ობიექტიური, თუმცა შეფარდებითი მნიშ-ვნელობა. მიუხედავად ამისა, მისი მოძღვრება ამ საკითხებზე იყო აუცილებლად რევოლუციური იმ ეპოქისათვის და იძლეოდა პრაქ-ტიკულად უკველად რევოლუციურ დასკვნებს, განსაკუთრებით რე-ლიგიის და სახელმწიფოს საკითხებში (იხ. ამის შესახებ „ეთიკა“, გვ. 138-139), რაც არ შეიძლებოდა არ გაეგო და ეპატივინა მისი ავ-ტორისათვის მაშინდელ რეაქციას, რომელიც სდევნიდა ფილოსო-ფოსს მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში.

* * *

გადავდივარ რა სპინოზას აფექტების თეორიის მოკლე ანალიზ-ზე, უნდა აღვნიშნო, რომ ამ საკითხში იგი იძლევა ისეთ შედევრს, რომლის მსგავსი არ მოიპოვება მე-17 საუკუნის ლიტერატურაში.

ჩვეულებრივად სპინოზა წარმოდგენილი ჰყავთ, როგორც მეტად განყენებული ინტერესების მატარებელი ადამიანი, რომელსაც არაუე-რი საამქეცევნო არ ესმოდა და წმინდა აბსტრაქტულ არსებათა ჰვ-რეტაში ჰპოულობდა კმაყოფილებას. ამ შემთხვევაში სრულებით გა-უგებარია ის ბრწყინვალე ცოდნა ადამიანის ბუნებისა, რომელსაც მოწმობენ „ეთიკა-ს“ მესამე და მეოთხე ნაწილები.

III ნაწილის წინასიტუაციაში სპინოზა ლაპარაკობს, რომ შეიძლება ბევრს გაუკვირდეს ადამიანთა აჭექტების განხილვა წმი-ნდა ბუნებრივი თვალსაზრისით, ისე როგორც განიხილება ობიექტი-ური სხეულები. მორალურ სენტენციებს ადამიანის ბუნების ცოდ-ნის გარეშე არა აქვს არაეითარი ფასი, რამდენად ადამიანი არის ბუნების ნაწილი და მისი მოქმედება და მოქცევა განისაზღვრება ობიე-ქტიურად, ბუნებრივი მოვლენებით და არა მისი ნებისყოფით, რომლის თავისუფლება უკვე უარყოფილი აქვს სპინოზას.



ისათვის, რომ იდამიანის მოქმედების და მოქცევის შემცველის
გამოვიწვიოთ, სრულებით გამოუსადეგირია მის ნებისყოფაზე ზემოქ-
მედება — საკიროა იმ პირობების შეცვლა, რომლებიც იწვევნ ამ
მოქმედებას და მოქცევას. ამიტომ არ უნდა გამხიზებოდეს და
არ უნდა დაესცინოდეთ იდამიანთა მოქცევას, არამედ უნდა შევის-
წავლოთ და გავიგოთ იგი. ტრადიციული დარიგებითი მორალი არის
სატირო ისე, როგორც აბსტრაქტიული სახელმწიფო მისი რეალური
პირობების შესწავლის გარეშე არის უტოპია.

ადამიანის ბუნების ასეთი ღრმა გაგებამდე არ მისულა მე-17
საუკუნე. მხოლოდ მე-18 საუკუნის ფრანგ მატერიალისტებმა გა-
ნაცითარეს მსგავსი პრინციპი (იდამიანი გარემოებების შედეგია, მისი
შეცვლისათვის უნდა შეიცვალოს თვით გარემო და ა.შ.).

სპინოზას აფექტების თეორიის ძირითადი ელემენტი არის თვით-
შენახვის, თავდაცვის პრინციპი (принцип самосохранения). ეს უდე-
ვს საფუძველად, როგორც სპინოზას მოძღვრებას მორალის, ისე მის
მოძღვრებას სახელმწიფოს შესახებ. „ყოველი საგანი, რამდენად ის
არსებობს მიისწრაფის დარჩეს თავის არსებობაში“ („ეთიკა“, გვ. 113)
ანდა „საგნის მისწრაფება დარჩეს თავის არსებობაში არის სხვა
არაფერი, ვიდრე მისი ნამდვილი (ექტუალური) არსება“ (იქვე; 159).
ამაზე ეყრდნობა ყველა აფექტები. მაგ., სიამოვნების აფექტი ვამო-
წვეულია ნივთით, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი არსებობის შენახ-
ვას. უსიამოვნების აფექტი კი დავავშირებულია ისეთ ნივთთან, რომე-
ლიც ეწინააღმდეგება მას, ე. ი. მავნებელია. ეს პრინციპი ვრცელდე-
ბა ესთო+იგაზედაც: „თუ მოძრაობა, მიღებული ნერების მიერ
შეგრძნებით წარმოდგენილ საგნებისაგან ხელს უწყობს ჯანმრთელო-
ბას — მაშინ საგნებს, რომლებიც არიან მიზეზი ასეთი მოძრაობები-
სა — ეწოდება ლამაზი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ეწოდება ზაბინ-
ჯი („ეთიკა“, გვ. 61).

რამდენად აფექტი არის თრგანიზმის ბუნებრივი მდგრმარე-
ობა, მისი დაძლევა შეუძლია მხოლოდ მეორე აფექტს. ამიტომ, აფე-
ქტების დასამორჩილებლად შემეცნება თვით უნდა იქცეს აფექტად.
ამ გზით შესაძლებელია აფექტების დაძლევა შემეცნების საშუალე-
ბით, მაგრამ აფექტების დაძლევა სრულებით არ ნიშნავს საზოგა-
დოდ მათ უარყოფას. ასეთი გაგება სპინოზას მოძღვრებისა დამახინ-
ჯება იქნებოდა. შემეცნება არ სპობს აფექტს; არამედ შეიცნობს
მათ და მით გაარჩევს მათში მისალებს და მიუღებელს, ე. ი. ისეთებს,
რომლებიც სასაჩვენებლოა ჩვენთვის და ისეთებსაც, რომლებიც
მავნებელია. ამიტომ „ეთიკის“ მე-5 ნაწილი, რომელიც ეხება შემე-
ცნების საშუალებით აფექტების დაძლევას, არ შეიცვს არავითარ
მისტიკიზმს და იდეალიზმს, როგორც ეს ზოგიერთებს ჰვონიათ.

როგორც აღნიშნული იყო, სპინოზას მორალი ემყარება თვით შენახვის პრინციპს, ამ პრინციპს სპინოზა პირდაპირ აიგვებს სიკეთესთან. „წარმოუდგენელია სიკეთე, რომელიც უფრო პირგელადგენერატორია ვიდრე თავის არსებობის შენახვისაკენ მისწრაფება. აბსოლუტურად სიკეთის მიხედვით მოქმედება ჩვენთვის სხვა არაფრია, ვიდრე მოქმედება, ცხოვრება და თავისი არსებობის შენახვა... მისწრაფება თავისი სარგებლობისკენ გონების ხელმძღვანელობით“ („ეთიკა“, გვ. 269, 270—271). აქედან, სხვათა შორის, უშუალოდ ცხადია, რომ გონება, არ სპობს თვითშენახვის პრინციპს, პირიქით, ემსახურება მას და იცავს სწორედ იმ აფექტებს, რომელიც ხელს უწყობს ამ პრინციპს.

რამდენადაც თვითშენახვის პრინციპი გამოხატავს საგნების არსებას (იხ. მესამე ნაწილის მე-7 თეორემა), ყოველი ნივთის მოქმედება ამ მიმართულებით უნდა იყოს განუსაზღვრელი, ამიტომ ბუნებაში თავის—„თავად არ არსებობს არც ხიკეთე, არც ხიავე. სიკეთე არის ის, რაც მარგებელია—სიავე ისაა, რაც მავნებელია“ (იხ. „ეთიკა“, გვ. 241, 245, 255, 289), „ჩვენ ვუშოდებთ სიკეთეს ანუ სიავეს მას, რაც ან ხელს უწყობს ჩვენს მიერ არსებობის შენარჩუნებას ან ხელს უშლის მას“.

* * *

რამდენადაც თვითშენახვისკენ მისწრაფება წარმოადგენს საგნის ბუნებრივ არსებას, იმდენად იგი საფუძვლად უდევს, ე. წ. ბუნებრივ უფლებას. ბუნებრივ მდგომარეობაში ეს ბუნებრივი უფლება უშუალოდ ემთხვევა ბუნებრივ ძალას, ვინაიდან ასეთ მდგომარეობაში მას არა აქვს შეზღუდვა. ამიტომ ასეთ მდგომარეობაში არ არის არც ხაზართლიანობა, არც უსამართლობა, არც დანაშაული, არც განკითხვა (იხ. „ეთიკა“, გვ. 289). „ბუნებრივ მდგომარეობაში ყველაფერი არსებობს ბუნების უმაღლესი უფლების მიხედვით და, მაშასადამ ყველა ბუნების უმაღლესი უფლებით მსჯელობს იმაზე, თუ რაა კარგი ან ავი, თავისებურად ზრუნავს თავის სარგებლობაზე, შურს იძიებს თავისთვის და სცდილობს შეინახოს ის, რაც უყვარს და გაანადგუროს, რაც სძულს“ („ეთიკა“, გვ. 167). მოყვანილ დებულებებში აშეარიდ სჩანს სპინოზას აზრთა მსგავსება ჰობსის აზრებთან: ბუნებრივ მდგომარეობაში არსებობს (bellum omnium contra omnes). „ყველას წინააღმდეგ ყოველთა ომი“. მაგრამ შემდეგ დავინახვთ მათ აზრთა სხვაობასაც. აქ სხვათა შორის საინტერესო ხაზი გაუსვათ იმ გარემოებას, რომ სპინოზას საკუთრება ესმის არა როგორც ბუნებრივი მდგომარეობის გამოხატულება, არამედ როგორც მოქალაქობრივი მდგომარეობის შედეგი. „ბუნებრივ მდგომარეობაში არავინ არ არის ყველას მიერ აღიარებული რომელიმე ნივთის მფლობე-



ლი, ბუნებაში არ არის არაფერი ისეთი, რომელზედაც ითქმიან ბუნებაში ეს არის საკუთრება ამა და ამ კაცისა და არა სხვისი („ეთიკა“, გვ. 289), რა თქმა უნდა ლაპარაკი ცხელმეტია იმაზე, რომ სპინოზის არ ჰქონდა წარმოდგენა საწარმოო ურთიერთობაზე, მაგრამ მოყვანილი დებულება გენიალური აზრია იმ დროისთვის.

როგორ ხდება ამ ბუნებრივ მდგომარეობიდან შოქალაქეობრივ მდგომარეობაზე გადასვლა, ე. ი. სახელმწიფოზე? ჰობსის თეორიით, როგორც ვიცით, ეს ხდება ხელშეკრულების მეობებით. სპინოზამაც მიიღო არსებითად ეს ხელშეკრულების თეორია, მაგრამ თუ ჰობსისათვის ხელშეკრულებას აქვს ჩაცილნალური საფუძველი, სპინოზასთვის კი მას აქვს ბუნებრივი საფუძველი. ამიტომ, თუ ჰობსთან სახელმწიფო ნიშნავს ბუნებრივი საფუძველის მოხპობას, სპინოზასთვის კი მხოლოდ მის შეზღუდვას“. როგორ შეეძლოთ შეეკრათ ურთიერთ ვალდებულება და ჰქონდათ ურთიერთ ნდობა აღამიანებს, რომელიც აუცილებლად განიცდიან აფექტების გავლენას ცხადია იქიდან, რომ ყოველი აფექტი შეიძლება განსაზღვრული იყოს მხოლოდ მეორე აფექტით, უფრო ძლიერით და მისი მოწინააღმდეგით დაწომ ყოველი თავს იყავებს სხვისთვის უფლის მიყენებისაგან იმის შიშით, რომ თვითონ უფრო მეტი ცუდი არ მოუკიდეს. ასეთ პირობებში საზოგადოებას შეუძლიან განმტკიცდეს მხოლოდ რმ შემთხვევაში, თუ ის მიითვისებს თვითეულს უფლებას შური იძიოს თავისეთვის (მეტივ ა ცენა) და იმსჯელოს იმაზე, რა არის კარგი და რა არის ავი. ამიტომ მის უნდა ჰქონდეს უფლება დააწესოს ცხოვრების საერთო ხასიათი და ავრეთვე კანონები და განამტკიცის ისინი არა გონების საშუალებით, ვინაიდან გონებას არ შეუძლია შეზღუდოს აფექტები, არამედ მუქარის საშუალებით. ასეთ საზოგადოებას, დამყარებულს თვითშენახების და ხელისუფლების კანონებზე—ეჭოდება სახელმწიფო და ადამიანებს, რომელიც მისი უფლების ქვეშ იმყოფებიან—მოქალაქენი („ეთიკა“, გვ. 288).

ეს გრძელი ციტატა იმისათვის მოვიყვანე, რომ ცხადგვეყო, თუ როგორ ღრმად ესმოდა სპინოზას სახელმწიფოს ბუნება. გთხობას არ შეუძლია შეზღუდოს აფექტი, თავდაცვისადმი ღრმოლვა—მას ზღუდავს მხოლოდ უფლება, რომელიც უკვე გახდა სახელმწიფო უფლება ანუ ხელისუფლება. რას წარმოადგენს ეს უკანასკერელი ჰობსის და რუსოს თვალსაზრისით? ბუნებრივ უფლების აბსოლუტურ გამორიცხვას, სპინოზას აზრით შეზღუდვას, ამიტომ, სახელმწიფო ბუნებრივ საფუძველის ეყრდნობა.

ამრიგად, თუ ჰობსმა დაიყვანა სახელმწიფო საერთო რაციონალურ საფუძველზე და ახალა მას ღოთიერივი სამოსელო, რომელშიც იყო იყო გახვეული ფეოდალურ არისტოკრატიის მიერ (ეს კი



იყო ჰობსის დროისთვის უდიდესი რევოლუციური ნაბიჯი) სპინოზამ მიღის კიდევ უფრო შორს და დაპყავს სახელმწიფო ბუნებრივ საფუძველზე. ამით სპინოზა ასაბუთებს იმ ბუნებრივ უფლების პრინციპს, რომელიც რევოლუციური ბურუუაზის credo იყო, მაგალ. საურანგეთის დიდ რევოლუციაში.

მაგრამ თუ ხელისუფლება არის მხოლოდ შეზღუდვა ბუნებრივი უფლებისა, მან არ უნდა გამოიწვიოს საზოგადოების რომელიმე წევრის ან მისი ჯაუფის მიერ გაკარგვა ბუნებრივი უფლების. იგი უნდა იყოს ურთიერთი ხასიათისა და მან არ უნდა დაარღვიოს თანასწორობა მოქალაქეებს შორის. აქედან მართვა-გამგეობის ყველაზე შეკეთესი ფორმა, რომელიც უპასუხებს მოქალაქეობრივ საზოგადოების ბუნებრივ საფუძვლებს — არის დემოკრატიული ფორმა. ამ ფორმას ასაბუთებს „თეოლოგიურ პოლიტიკური ტრაქტატი“, რომელიც აუცილებლად გამოხატავდა სპინოზას დამთავრებულ აზრებს, რამდენადც ის იწერებოდა „ეთიკის“ დაწერის ჩროს და მასთან პარალელურად. „მე საემარისი გარევეულობით განვავითარე დემოკრატიული ფორმის მართვა-გამგეობის საფუძველები და მე განსაკუთრებით მინდოდა ლაპარაკი ამ ფორმის შესახებ იმიტომ, რომ ის ჩემი შეხედულებით ყველაზე უფრო ეთანხმება ბუნებას და ყველაზე ადრე აღშევს თავისუფლებას, რომელიც მინიჭებული აქვს ბუნებას ყოველი პიროვნებისათვის, ვინაიდან აქ არავინ არ გადასცემ თავის ბუნებრივ უფლებას სხვა პიროვნებას იმისთვის, რომ შემდეგ თვითონ დაკარგოს ყოველგვარი მონაწილეობა საზოგადოებრივ თათბირებში და გადასცემს მას (თვის ბუნებრივ უფლებას — პ. შ.) მთელი საზოგადოების უმრავლესობას, რომლის ნაწილს თვითონ შეადგენს. ამ ხელისუფლების დროს ყველა ჩემი თანასწორი, როგორც უწინ ბუნებრივ მდგომარეობაში, ამიტომ მე შეგნებულად განვიძრახე მხოლოდ ამ ერთი სახელმწიფოებრივ ფორმის გამოკვლევა . . . ვინაიდან მე ვაპირებდი ლაპარაკს თავისუფლების წინ შენებობაზე სახელმწიფოში“.

რა თქმა უნდა ამ თანასწორობას და თავისუფლებას არაფერი საერთო ბრა აქვთ სოციალიზმთან, როგორც ამას ფიქრობენ მოდერნისტები ფილოსოფიის ისტორიაში (მაგ. ა. დებორინი), ვინაიდან ისნი გამოხატავენ თავისუფალ კონკურენციის სტალიაზე მყოფ კაპიტალიზმის მოთხოვნილებას.

თუ შემდგომ „პოლიტიკურ ტრაქტატში“ სპინოზამ შესცვალა აზრი მართვა-გამგეობის ფორმაზე და დადგა (თუმცა ირასაკმარისი გარევეულობითი) ერთგვარი პიბრილულ ფორმაზე — დემოკრატიულ მონარქიაზე — ეს აიხსნება არა იმით, თითქოს სპინოზას მართლაც შეეცვალოს აზრი თავისუფლების მნიშვნელობის შესახებ, არამედ იმით,



რომ მთელ რიგ გარემოებებში (მაგალ. დემოკრატიული პუნქტუაცია) იოპანე-დე-ვიტის და მისი ძმის მხეცური მკვლელობა მასების მიერ და ანალოგიური საშიშროება თვით სპინოზას (მიმართ) დააეცვიანეს სპინოზა იმაში, რომ დემოსი ამაღლებულიყოთ თავისი ბუნებრივი უფლების შეგნების და მისი რაციონალური გამოყენების დონეზე.

ანიშნულიდან საქმაოდ ცხადია, თუ როგორ ლრმად ესმოდა სპინოზას სახელმწიფოს ბუნება და მისი წარმოშობის და არსებობის რეალური საფუძვლები. მაგრამ, რამდენად მას არ შეეძლო ამაღლებულიყო საჭარმთ დამოკიდებულების გავებამდე, ცხადია, სახელმწიფოს ხოციალური არსი დაიყვანა ბუნებრივ-ბიოლოგიურ ხაფუძლებზე. უნდა ალინიშნოს, რომ როდესაც საკითხი ეხება საზოგადოებრივ ცხოვრების სფეროს, სპინოზა იჩენს გარკვეულ ისტორიზმის ალლოს. განსაკუთრებით აშეარად სჩანს ეს რელიგიის საკითხებში.

* * *

გადავდივართ რა სპინოზას რელიგიურ შეხედულებების სფეროში, უნდა აღვნიშნო, რომ იგი აქ იმდენად საინტერესოა და ორიგინალურია, იმდენად გაუსწრო თავის საუკუნეს, რომ მეტად საინტერესო და საჭიროც არის ამ თემის სპეციალური დამუშავება — მით უმეტეს, რომ რელიგიის და ათეიზმის ისტორიის დარგში ჩენ ძალიან ნაკლები რომ გვაქს გაქოთებული. მე მგონია, ამ ამოცანას ჩვენ შევასრულებთ, ვინაიდან სპინოზას მემკვიდრეობაზე მუშაობა არ უნდა ამოიწუროს ერთი, თუნდაც საიტილურ საღამოთი.

სპინოზას ათეისტობაში ჩენში ეჭვი არ უნდა გამოიწვიოს. უკვე 1) ღმერთის პერსონიფიკაციის უარყოფა, უ) მექანისტური დეტერმინიზმის მტკიცედ გატარება და 3) აქედან გამომდინარე ნებისყოფის უარყოფა — საქმარისის იუვენ რელიგიასთან მშვავე კონფლიქტის სათვის. პირველი ეწინააღმდეგება დოკმას დმერთის განკაცების შესახებ, მეორე უარყოფას სახწაულების შესაძლებლობას და მესამე ძი — ცოდვილობა - მოტევების დოგმებს.

მაგრამ სპინოზამ დაისახა სპეციალური ამოცანა რელიგიის კრიკიფინა და ამით გაუსწრო თავის ეპოქას თითქმის ერთნახევარი საუკუნით. მანამდე არ იყო მოცემული პროტესტი რელიგიის კრიკიფა და კმაყოფილდებოდენ კომპრომისით, რელიგიის და მეტნიერების სფეროების გაყოფით (ასე შერებოდა დეკარტი, ბეკონი და სხვ.). მხოლოდ ჰიონებმა მოგვცა ზოგადად რელიგიის კრიკიფა, ვინაიდან უარყო პრინციპული და რელიგიის საფუძველი, სულიერი სუბსტანცია — ღმერთი. რელიგიის გასანადგურებლად საჭიროა გავინადგუროთ მისი საფუძლები. ძირითადად მისი საფუძველი არის ღმერთი. თავის დროზე, საშუალო საუკუნეებში თეოლოგია

მაგრამ არსებობს კიდევ რელიგიური საბუთები, რომელნიც ღმერთის უშუალო სიტყვად ითვლება. ის გარემონა, რომ ღმერთი არსებითად უარყოფილია —განა არ ამტკიცებს იმას, რომ არ შეიძლება არსებობდეს მისი სიტყვაც, მაგრამ შედეგი შეიძლება იქცეს საფუძვლად. თუ ჩემი ვერ გამოვამელივნებთ, ე. წ. სამლოცო წარილს და არ ვამხელთ მის სიცორუეს — მაშინ ის იქნება საფუძველი (თუმცა არა პირდაპირი) ღმერთის არსებობისა.

ამიტომ შეორე ძირითადი ამოცანა მდგომარეობს სამღვთო წერილის მხილებაში. ასეთი მხილება მდგომარეობს იმის დამტკიცებაში, რომ ის არის არა დმუროს, არამედ ადამიანის საბუთი. ამ შეორე ამოცანასაც ასრულებს სპინოზა „თეოლოგიურ ჰოლიტიკურ ტრაქტატში“ და სწორედ ამ საკითხში „გამოიჩინა სპინოზამ ის ის-თორიულ-კრიტიკული მიდგომა, რომელიც მას აყენებს დავ. ფრ. შტრაუსეს გვერდით.

რაც შეეხება ე. წ. ახალ აღთქმის, ისიც ისტორიული დოკუ-
მენტია, მოციქულები იყვნენ პოლიტიკური მოღვაწენი, რომელმაც
განსაზღვრულ პრატიკულ პოლიტიკურ მიზნებისათვის ეჭვოდენ სა-
თანადო პრობაგანდას. რაც შეეხება ხასწაულებს — ისინი შეუძლე-
ბელნი არიან, რამდენად ყველვან ბატონობს აუცილებლობა და მფ-
ქანიკურ მიზეზობრივი კავშირი. ამიტომ სასწაულები, რომელნიც
აღწერილი არიან, როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაში, დამაბინჯე-
ბულად გამოხატავენ ისეთ მოვლენებს, რომელნიც მართლა იწვევ-

დღნ ძველების გაქვირვებას, რამდენად მათ არ იცოდენ მის შინაარსი და გამომწვევი მიზეზები.

ამრიგად, თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, თუ, როგორ შესკეთდე მიფიდა. სპინოზა და არა მარტო მიყიდა ამ დასკვნამდე, საჯაროდ გამოსთვევა კიდევ, მიუხედავთ იმისა, რომ მისი დროინდელი რეაქცია იყო საკმარისად ძლიერი და საშიში. ამის შემდეგ თუ სპინოზამ კიდევ დასტრივა რელიგია, როგორც პრაქტიკულად გამოსადევი მასებისათვის—ეს მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, მასებმა დე-ვიტის შეეცური მკვლელობით და სხვებით დაიმსახურეს სპინოზასთან ცუდი რეპუტაცია და მან დაუშვა რელიგია, როგორც მათი შემაკავებელი ძალა.

* * *

ამით მე ვამთავრებ ჩემს მოხსენებას სპინოზას ფილოსოფიის შესახებ. ცხადია, ერთ მოხსენებაში ვერ ამოვწურავდი ისეთ გრან-დიოზულ სისტემას, როგორიცაა სპინოზას ფილოსოფია. მოცემულ ანალიზიდან ცხადი უნდა იყოს სპინოზას ფილოსოფიის ძირითადად ზარერიალისტური ხასიათი. მაგრამ ამავე დროს ის მეტაფიზიკური ფილოსოფიაა. ამიტომ მარქსმა და ენგელსმა დაახასიათეს სპინოზას სუბსტანცია როგორც „მეტაფიზიკურად შებრუნებული ბუნება აღამიანისაგან მოწყვეტილად“ („წმინდა ოჯახიდან“) და აღნიშნეს, რომ მე-18 საუკუნის მატერიალისტებმა სხვებთან ერთად დახსლიეს სპინოზას მეტაფიზიკაც. სპინოზას ფილოსოფიის მეტაფიზიკურმა ზასიათმა განსაზღვრა ყველა ის გარღვევები, ზინაგანი წინააღმდეგობანი და არა თანამიმდევრობა, რაც ზევით საქმიოდ იყო აღნიშნული. თანმიმდევრი შეიძლება იყოს მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმი—ეს მარქსიზმ-ლენინიზმის ანბანია.

აქედან ცხადია, თუ რა დიდ შეცდომას უშევებენ მოდერნისტები ამხ. დემორინის ჯგუფიდან, როცა ისინა აცხადებენ სპინოზას დიალექტიკურ მატერიალისტად. მაგრამ არა ნაკლები შეცდომა იქნება უწოდოთ სპინოზას იდეალისტი. პირველი შეცდომა მომდინარეობს უმთავრესად პლეხანოვისაგან, რომელმაც მარქსიზმი გამოაცხადა სპინოზიზმის ერთ-ერთგვარად ან სახეობად. პლეხანოვის შეცდომა გააღმიავეს შემდეგ დემორინელებმა. ეს შეცდომა მით უფრო მიუტოვებელია, რომ ის ურეეს ერთი მეორეს მეტაფიზიკას და დიალექტიკას. პლეხანოვს ეგონა, რომ სპინოზას მიერ გადაჭრა აზრის და განუწილების დამოკიდებულებისა ემთხვევა მარქსისტულ გადაჭრას. ამ შემთხვევაში მან მიაქცია ყურადღება მათი ერთი მეორეზე დაუყვანებლობას, რაც, მართალია აერთიანებს მარქსიზმს და სპინოზიზმს. შაგრამ მან სწორედ სპილო გამოუშვა მხედველობიდან, სახელდობ

დიალექტიკა, ისტორიზმი. აზრის და მატერიის უშალო დაუყვანებულობას, ლობა სრულებით არ ნიშნავს მათ ისტორიულ დაუყვანებლობას, ვინაიდან აზროვნება ისტორიულად წარმოიშვა მატერიაში (და არა მატერიისავან). სპინოზას მეტაფიზიკა კი, როგორც ეს იყო აღნიშნული, უარყოფს ყოველგვარ ისტორიზმს და ამიტომ მისთვის აზროვნება ისეთივე მარადიული და წარმოუშობელი არსებაა (ატრიბუტი), როგორც განთვილება.

მეორე შეცდომა ახასიათებს განსაკუთრებით ჩვენს საბჭოთა მექანისტებს (აქსელროდი, ცეკვიაში და სხვ.) და გამოხატავს ბურუაზიულ ფილოსოფიის ისტორიის გავლენას. ბურუაზიულ ფილოსოფიის ისტორიის არ შეუძლია — საერთოდ თბილექტური შეფასება ამ თუ იმ ისტორიული სისტემისა და მაშასადამე უნდა დაამახინჯოს სპინოზაც.

თავის რეაქციონორმის დროს ბურუაზია ან ზურგს აქცევს თავის ისტორიულ წინაპრებს, ან და ასწორებს მათ იმ მიმართულებით, რომ გამოყენოს თავისი დღევანდელი ინტერესებისათვის.

ისეთი დიადი წინაპრისათვის, როგორიცაა სპინოზა, — ზურგის მიქცევა შეუძლებელი რჩება იმისი დამახასინჯება და ამ მიმართულებით დიდი ხანია მუშაობს ბურუაზიულ ფილოსოფიის ისტორია.

მაგრამ, როგორ უნდა აქხსნათ ის ვარემოება, რომ სპინოზას გარდაცვალების შემდეგ მისი ფილოსოფია მიეცა ერთგვარ „მივიწყებას“, მიუხედავათ იმისა, რომ ის გამოხატავდა მაშინდელი ბურუაზიული კლისის ინტერესებს? მე მგონია, ამის მიხეზი ისაა, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, რომელთა აღნუსხვას აქ არ შევსდგები, სპინოზას შემდეგ ფილოსოფიური ჰეგემონია გადავიდა კონსერვატიულ გერმანიაში და კარის ფილოსოფოსებს, როგორიც იყო, მაგ. ლაიბნიცი, არ შეეძლოთ სპინოზას ფილოსოფიის შეფასება. იმდროინდელი გერმანიის ბურუაზია საამისოდ არ იყო მომზიდებული. თვით პოლანდიაში კი, სადაც კაპიტალიზმი უკვე განვითარებული იყო, სპინოზას ჰყავდა შევრი ფანატიური მიმდევარი და მეგობარი და საერთოდ მასთან მიწერ-მოწერაში იყვნენ ეპოქის საუკეთესო მეცნიერი მოღვაწენი.

წინა რეალუციურ ხანაში უკვე თვით გერმანიის ბურუაზია უბრუნდება სპინოზას. სრულებით არ არის შემთხვევითი, რომ სპინოზას „აღმოჩენა“ წილად ხდდა გერმანიის განმანათლებლების მამამთივირ ლესინგს. მას შემდეგ სპინოზა იპყრობს ყურადღებას, მასზე გულმოდგინეთ მუშაობს; ფიხტე მისგან ძალიან ბევრს სესხულობს როგორც შელინგი. ისე განსაკუთებით ჰეგელი. ფერებახის ფილოსოფია არსებითად სპინოზას ფილოსოფიის აღორძინებაა, მის ნამდვილ შინაარსში — მხოლოდ სხვა (სენსუალისტურ) ფორმაში. ფრან-



გმა მატერიალისტებმა კიდევ უფრო ადრე შეითვისეს სპინოზას, უფრო ლოსოფიის ძირითადი იდეები, თუმცა მისი მეტაფიზიკის წინაშემცვევა დევ იბრძოდენ.

შემდეგ, იმისდამიხდევით, თუ როგორ თანდათანბით ბურუუაზია უფრო და უფრო რეაქციონური ხდება — ის ამასინჯებს სპინოზას ფილოსოფიას. თქვენთვის ცნობილი მიზეზის გამო ვერ შეკჩრდი დღეს სპინოზას ფილოსოფიის სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციის საკითხებს, მაგრამ ერთი რამ ცხადია — რომ მხოლოდ მარქსიზმს შეუძლია გაიგოს და. ისტორიულად შეაფასოს სპინოზას ფილოსოფია, მხოლოდ მას შეუძლია საზოგადოდ კრიტიკულად ჩაიბაროს ისტორიული მემკვიდრეობა.

მარქსის მატერიალისტურ წინამორბედებს შორის სპინოზას უკავია ისტორიულად განსაზღვრული საპატიო ადგილი.

ბურუუაზიული ქვეყანა, რომელიც აუცილებლად აღნიშნავს დღევანდელ დღეს დიდი გარეგნული პათოსით, ვერ გამონახავს სპინოზასათვის მის ისტორიულ აღგილს, — ვინაიდან ბურუუაზია დღევანდელ ეტაპზე იძულებულია ზურგი აქციოს თავის საკუთარ ისტორიას. ამიტომ ის შეეცდება გამოიყენოს სპინოზა თავისი დღევანდელი ინტერესებისათვის და ამისათვის ის უფრო დაამასინჯებს მას, ისე როგორც ის შეეცადა ჰეგელის ფილოსოფიის გამოყენებას და ამისათვის გადააქცია უკანასკნელი ფაზიზმის ფილოსოფობად.

მაგრამ თვით ბურუუაზია მალე ჩამოვა ისტორიული სცენიდან, მისი დღეები დათვლილია — სპინოზას ფილოსოფია კი — მისი გრანდიოზულობით და უშიშარი დასკვნებით უზრუნველყოფს თავის ავტორისათვის სპატიო ადგილს უდიდეს მოაზროვნეთა შორის, რომელთაც წინ წასჭიეს ადამიანის აზროვნების განვითარება.



1P-95K. 4/391

